# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 27 ივნისი, 2004 წელი. №147 (4876) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი


◉ ბაბუა მეცხრე ცაზეა



# ბებია და შვილიშვილი

## ექსპრომტი ნამცეცა ანანოს ბანაობისას

დაგომ უნდა ანო ბანოს,
თან ასწავლოს ანა ბანა,
ანომ უნდა იჭიკჭიკოს:
„ვის ჰყავს ბებო ჩემისთანა“.

ბაბუმ რა ქნას? – დიდი ჭიქით
უდღეგრძელოს ბებო ანოს:
„კარგად მყავდეს შენი თავი,
ანოს შვილიც დაგებანოს“.

ვილენ მარდალეიშვილი.

◉ არ დაგავიწყდეთ!



## საათის ისრები ერთი საათით უკან უნდა გადავწიოთ

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 24 მაისის ბრძანებულებით, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ დეკრეტულ დროს სასარტყელო, იგივე გეოგრაფიული დრო ჩაენაცვლება, ანუ 27 ივნისიდან საქართველო გრინვიჩის ნულოვანი მერიდიანიდან ბუნებრივ გეოგრაფიულ სარტყელს უბრუნდება. ამის შედეგად დროის სხვაობა ლონდონთან 4 საათის ნაცვლად, 3 საათი გახდება, ხოლო პარიზთან და ბერლინთან 3 საათის ნაცვლად – 2 საათი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ, 27 ივნისიდან სამუშაოს დაწყების დრო ერთი საათით ადრე გადაიტანონ.

◉ პრეზიდენტი

## მიხეილ სააკაშვილი სტამბოლს გაემგზავრა

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ოთხდღიანი ვიზიტით სტამბოლს გაემგზავრა, სადაც ჩრდილოატლანტიკური გაერთიანების სამიტში მიიღებს მონაწილეობას.**

ვიზიტის პირველ დღეს პრეზიდენტი დაესწრო კონფერენციას – „ატლანტიკური ალიანსი ახალ გზაჯვარედინზე“, სადაც შავი ზღვის ქვეყნებისთვის ახალი ევრო-ატლანტიკური სტრატეგიის განსაზღვრა იგეგმება. მოგვიანებით კი სააკაშვილი აშშ-ს სენატის უმრავლესობის ლიდერს ბილ ფრისტს შეხვდა.

ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურთა შეხვედრა. კულტურული პროგრამა და გალა-სადილი თურქეთის პრემიერ-მინისტრის თაიფ ერდოგანის სახელით, ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მეთაურთა პატივსაცემად.

იგეგმება საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან რიჩარდ ლუგართან, სენატორ ჯონ მაკკეინთან, კონგრესმენ ტომ ლანტოსთან და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან იოშკა ფიშერთან.

პრეზიდენტი საქართველოში 30 ივნისს დაბრუნდება.

ინტერ-პრესი.

◉ კვირის თვალსაწიერი

## ექსპროპრიაცია ზოგადად ხალხისათვის

**აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები ერთგვარი სასინჯი ქვა აღმოჩნდა არა მხოლოდ ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში განფენილი პოლიტიკური ძალებისთვის, არამედ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს სათავეში მოსული ნაციონალური უმრავლესობისთვის (აქ უმრავლესობა ზოგად პოლიტიკურ განსაზღვრებად ნაციონალური, ასე ვთქვათ, სიმოკლისა და სიმარტივისთვის ვიხმარე).**

ამ არჩევნებმა ლაკმუსის ქაღალდივით წარმოაჩინა უმრავლესობის სხეულზე არსებული არაორგანული, შეუთავსებელი დანაშრევები. ეს, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკურ პარტიას შეეხება.

არჩევნებამდე, ფაქტობრივად, მონოლითურად მისული გუნდი არჩევნებიდან ნაგვემ-დამცრობილი დაბრუნდა. ნაციონალებისა და რესპუბლიკელების მტკიცე ერთობიდან მხოლოდ სველი ადგილიღა დარჩა, უბანუბან მათი ხელჩართული შეტაკების შედეგად წარმოქმნილი.

ერთი სიტყვით, გამიჯვნა ღია დაპირისპირებად იქცა და ლამის სისხლისღვრამდე მივიდა. მართალია, საპარლამენტო უმრავლესობიდან რესპუბლიკელების გასვლა, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ გაფორმებულა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს მხოლოდ დროის საკითხია და ეს დრო, არა მგონია, ძალიან გაიჭიმოს.

დავით ბერძენიშვილი, რომელიც არჩევნების უცილობლად მოგებას ვარაუდობდა (ანუ აჭარის უზენაეს საბჭოში 8-10 კაცის გაყვანას მაინც), პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

იმედების გაცრუებას, როგორც ვთქვით, ყოფილ მოკავშირეებს შორის ალაგ-ალაგ ისეთი დაუნდობელი შეჯახება მოჰყვა, რამდენიმე თვის წინათ ასლანისტებსა და ნაციონალებს შორის რომ მოხდა ბათუმში და მათ შორის შეურიგებლობის კოცონი აბრიალა.

იხ. მე-2 გვ.

◉ ინფორმაცია

### ზღვა, ბავშვები და მეგობრობა

ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ ლიახვის ხეობიდან და ცხინვალის რეგიონიდან დასასვენებლად ჩასული ოსი და ქართველი ეროვნების 180 ბავშვი გუშინ სახლში დაბრუნდა.

სასტუმროში კონფლიქტის ზონიდან კვლავ 250 ბავშვს ელოდებიან. აქცია მთელი ზაფხულის განმავლობაში გაგრძელდება. დამსვენებელთა მესამე ნაკადიც უკვე დაკომპლექტებულია.

### პური, ჩვენი არსობისა

გუშინ კახეთში ალოობა დაიწყო. სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე დედოფლისწყაროში გაემგზავრა და ხორბლის ყანის პირველ გაჭრას პირადად დაესწრო.

წელს ხორბლის კარგ მოსავალს ველოდებით, მთავარია, დროულად ავიღოთ და დავაბინაოთ იგი, – განაცხადეს სამინისტროში.

### ციხეს რად უნდა რკინის... ჟალუზი

**წამების წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით, იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილეს ეწვია.**

**ამ დღის აღსანიშნავად პაპუაშვილმა სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო, რომლის საფუძველზეც საკნების სარკმელებიდან რკინის გარეთა ჟალუზები მოიხსნა. ამ პროცესში თავად პაპუაშვილიც მონაწილეობდა. – ამიერიდან პატიმრები დღის სინათლესაც იხილავენ და საკნებშიც მეტი ჰაერი შეაღწევს, – აღნიშნა მინისტრმა.**

ინტერ-პრესი.

## ინტერპანორამა

**აშშ-ევროკავშირის სამიტი მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობს. დემონსტრანტებს მოაქვთ პლაკატები – „ბერტი ახერნი – ბუშის ლაქია“, „ამერიკელო სამხედროებო, წაეთრიეთ შენობიდან!“ ჯორჯ ბუში უკვე შეხვდა ირლანდიის პრემიერ-მინისტრს, შემდეგ კი მათ ევროკომისიის თავმჯდომარე რომანო პროდი და სხვა ჩინოვნიკები შეუერთდებიან.**



**ბაღდადიდან 350 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ერბილში, ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ოფისის მახლობლად მდგარი ავტომანქანა მაშინ აფეთქდა, როდესაც ამ პარტიის კულტურის მინისტრი მახმუდ მუხამედი საკუთარი ავტომობილიდან გადმოდიოდა. იგი დაიჭრა.**



**„პაკისტანის მუსულმანური ლიგის“ პარტიის ანონიმი მაღალჩინოსანი წარმომადგენლის თქმით, პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა გადადგომის თაობაზე განაცხადა. ეს ცნობა ქვეყნის პრეზიდენტთან ფერვეზ მუშარაფთან პრემიერის შეხვედრის შემდეგ გავრცელდა.**

კვირის თვალსაწიერი

# ექსპროპრიაცია ზოგადად ხალხისთვის

(პირველი გვერდიდან)

არადა, ყველა მოელოდა, რომ აჭარაში განხეთქილება ნაციონალებსა და დემოკრატებს შორის იფეთქებდა, მაგრამ – ნურას უკაცრავად! და ასე რომ არ მოხდა, უმრავლესობის დემოკრატთა ფრთის ლიდერების გამჭრიახობის შედეგია. რესპუბლიკელებმა კი, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის უფრო მტკიცე და მართლმორწმუნე მომხრეებად მოიაზრებოდნენ, მძიმე შეცდომა დაუშვეს და არა მარტო არჩევნები წააგეს, არამედ ბევრი სხვა რამეც...

მაგრამ აჭარის თემა მხოლოდ გუშინდელი მეგობრების არჩევნებისშემდგომი არასაპარლამენტო ურთიერთობებით როდი ამოიწურებოდა. გასულ კვირას დიანა აბაშიძის ბათუმში ჩამოსვლა და რამდენიმე დღე ყოფნა ლამის მთელი პლანეტის სალაპარაკო და გასარჩევი გახდა.

ჩამოფრინდა ასლან აბაშიძის ქალიშვილი მშობლიურ ქალაქში დედის წლისთავზე და ისეთი ამბავი ატყდა, თითქოს თვით დამხობილი მინიდიქტატორი დაბრუნებულიყოს. ჩამოფრინდა საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ხელშეუხებლობის გარანტიით დაიმედებული და... სამართალდამცველთა ჯვარედინი დაკითხვის ცეცხლში მოექცა აბაშიძეების აუწყავ ქონებასთან დაკავშირებით, რომლის დიდი ნაწილიც სწორედ დიანაზეა გაფორმებული და რომელიც „ხალხს უნდა დაუბრუნდეს“, დააპატიმრეს მისი რამდენიმე მეგობარი, ასლან და გიორგი აბაშიძეების რამდენიმე მცველი...

გამოძიებას გაუტკბა და უკვე აღარ მალავდა, დიანა აბაშიძეს შეიძლება მანამდე მოუწიოს ბათუმში დარჩენა, სანამ ყველა კითხვაზე პასუხს არ გასცემსო. ჰოდა, როგორც მოსალოდნელი იყო, აგორდა ხმა პოლიტიკურ ზეწოლასა და უსამართლობაზე. ის კი არა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადებაც კი გააკეთა და იმედი გამოთქვა, საქართველოს ხელისუფლება სასწრაფო ზომებს მიიღებს დიანა აბაშიძის ფაქტობრივი შინაპატიმრობიდან გასათავისუფლებლადო.

მართალია, ქალბატონი დიანა ოფიციალურად შინაპატიმრობაში არ ყოფილა, მაგრამ რა დღეშიც ბოლოს იყო, როცა მის სახლთან რამდენიმე ასეული გააფთრებული ადამიანი მოჯარდა და იქაურობას იკლებდა აბაშიძეების ლანძღვა-გინებით, ყველა შინაპატიმრობაზე უარესი გახლდათ. რატომ გახდა ეს აქცია საჭირო, ვის მოუვიდა იგი თავში, სწორედ რომ გაუგებარია, მით უფრო, რომ ის ქალი დაკითხვებზე ხალისით იძლეოდა პასუხს. თუ დასაშინებლად, რათა კვლავ აქეთკენ პირი აღარ ექნა, მაშინ მიზანი მიღწეულია. მან, ალბათ, მაშინღა ამოისუნთქა თავისუფლად, როცა თვითმფრინავი ბათუმის აეროპორტიდან აფრინდა და გეზი მოსკოვისკენ აიღო...

პროკურატურა კი პროსკრიპციებს აგრძელებს: სასამართლოში სარჩელი შეიტანა ლევან მამალაძის, გოგი კუპრეიშვილისა და ლევან კენჭაძის წინააღმდეგ, მათი მოძრავი და უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რათა ისინი „საბავშვო ბაღებს, ზოგადად ხალხს მოხმარდეს“.

პროკურატურამ სასამართლოს მოსთხოვა აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება ბორის სალარიძის მიმართაც, მისი დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის მოთხოვნითაც შეიტანა სარჩელი.

რა სჯობს რაიმე სიკეთის ხალხისთვის გადაცემას, მაგრამ ერთ დროს ამგვარად ექსპროპრირებული და „ზოგადად ხალხისთვის“ გადაცემული ცხვარიჭამიას დღევანდელობა მაინცდამაინც ოპტიმისტურ ხასიათზე ვერ დაგაყენებს კაცს. იქნებ კონკრეტულად გაყიდვა (თუ მყიდველი გამოჩნდა) და შემდეგ ფულის „განსაზოგადოება“ უფრო უპრიანია?

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი კითხვა თავისთავად ჩნდება: დღეისათვის რამდენად დადასტურებულია, რომ ეს ქონება უკანონოა? ქალაქის პროკურატურა ამტკიცებს, ახალი კანონმდებლობა საშუალებას გვაძლევს, უკვე ძიების პროცესში ჩამოვართვათ ქონება ეჭვმიტანილს, თუ სასამართლოს ამ ქონების უკანონო წარმომავლობას დავასაბუთებთო.

თბილისის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი არ მალავს, რომ სიძნელეებს აწყდება, რადგან მამალაძის, კენჭაძის თუ სხვა ეჭვმიტანილთა ქონება, რომლის „გასახელმწიფოებაზეც“ არის ლაპარაკი, თურმე... ძირითადად სხვის სახელზეა გაფორმებული! თუმცა, გვაქვს ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია ამასთან დაკავშირებითო...

მკითხველს ბოდიშს ვუხდი სითამამისთვის, მაგრამ ძალაუნებურად ანეკდოტი გამახსენდება: ქალი ქმარს სასამართლოში უჩივის, იმპოტენტიაო. ქმარმა ექიმის ცნობა წარმოადგინა, სრულფასოვანი კაცი ვარო. ამ დროს სიდედრი წამოვარდება, ჩვენ ცნობა არ გვინდა, ჩვენ „ის“ გვინდაო.

იქნებ სჯობს, არ იჩქარონ პროკურატურის გამომძიებლებმა, ჯერ ამ ხალხის დანაშაულიც დაამტკიცონ და მათი ქონების უკანონო წარმომავლობაც. დიდი ტრაგედია არ იქნება, თუ მამალაძის ან სარალიძის ქონება ერთი წლის შემდეგ გადაეცემა „ზოგადად ხალხს“, თორემ ასე ჰაი-ჰარად განკულაკება, რაღაც არასრულყოფილებისა და შურისძიების განცდას იწვევს.

ძლიერდება ხმა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის უკანონო პატიმრობის შესახებ. ამას წინათ მისი გათავისუფლების შესახებ პეტიციას ასობით ადამიანმა მოაწერა ხელი: პარლამენტარებმა, მეცნიერებმა, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა.

„სულხან მოლაშვილი უკანონო პატიმარია და იგი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს“! – ასეთი განცხადება გააკეთა ახლახან სპეციალურ პრესკონფერენციაზე სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ლომსაძემ. სულხან მოლაშვილის საქმე არ განეკუთვნება მძიმე მუხლებს, ამიტომ მის მიმართ თავისუფლად შეიძლებოდა აღკვეთის სხვა ფორმა გამოეყენებინათო. პრესკონფერენციაზე ისიც კი ითქვა, რომ პროკურატურაში პატიმარს მოსთხოვეს გარკვეული თანხის ნებით გადახდა (არა 37201 ლარისა, რასაც გამოძიება ედავება, არამედ გაცილებით მეტისა) და სანაცვლოდ თავისუფლების მიღებას შეჰპირდნენ.

ადვოკატი შალვა შავგულიძე არ გამორიცხავს, რომ საქმე ევროსასამართლომ განიხილოს, თუმცა, სულხან მოლაშვილს არ სურს ევროსასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლა, ქვეყნის ღირსების საკითხიდან გამომდინარე. ადვოკატი აცხადებს, მის მიმართ უფრო პოლიტიკური რეპრესიები ხორციელდება, ვიდრე კანონით დადგენილი პროცედურები, მრავალი საეჭვო კითხვისა და მომენტის გამოისობით მოლაშვილის საქმე ხალხში პოლიტპატიმრის სტატუსს იძენსო.

ამ საკითხს გარკვეულად უკავშირდება კონტროლის პალატის არქივიდან თბილისის პროკურატურის მიერ 187 შემოწმების აქტის ამოღება. ვალერი გრიგალაშვილი აცხადებს, ეს საქმეები იმასთან დაკავშირებით ამოვიღეთ, რომ თბილისის პროკურატურაში კონტროლის პალატის ხელმძღვანელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მზადდება საფუძველი ამ უწყების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასადგენადო.

მაგრამ საქმე ის არის, რომ აქტების ამოღების შემდეგ კონტროლის პალატის საცავი გატეხეს. ამბობენ, ბევრი დოკუმენტი „გაქრაო“. მათ შორის თურმე ისეთები, რომლებმაც შეიძლება ვიღაც-ვიღაცეებს ბიოგრაფია გაუფუჭონ, ან გაფუჭებას გადაურჩინონ.

მაგრამ, „გაქრა“ საცავის გატეხვამდე თუ შემდეგ? „საკითხავი აი, ეს არის!“.. მაგალითად, „მემარჯვენეები“ ვარაუდობენ, რომ შეიძლება კონტროლის პალატის ზოგიერთი აქტი საერთოდ „გაქრეს“ ან დამახინჯდეს, ანუ პროკურატურამ ზოგს ხელი დააფაროს, ზოგი კი „დასაჯოს“ და, შესაბამისად მათი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს...

ერთი სიტყვით, კონტროლის პალატის ამოღებული ან გამქრალი შემოწმების აქტები, ერთი დღეც იქნება, დაიქუხებს...

**ალეკო ასლანიშვილი.**

საერთაშორისო დღე

# სენი, რომელიც ყველას ერთნაირად აწუხებს

**გუშინ მსოფლიოში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნა. წლევანდელი წლის დევიზია „ნარკომანია განკურნებადია“.**

ამ დღის აღსანიშნავად გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა „შერატონ მეტეხი-პალასში“ სპეციალური ღონისძიება გამართეს. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოში ამ პრობლემის დაძლევაზე მომუშავე სამთავრობო, თუ არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები.

ოფიციალურად საქართველოში დღეისთვის 18 000-მდე ნარკოტიკზე დამოკიდებული და ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი პირია. რეალობაში კი ეს ციფრები 140-დან 180 ათასამდე აღწევს.

საქართველოში ნარკოტიკებზე დამოკიდებულ და ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელ პირთა რაოდენობა ოფიციალურად 1992 წლიდან 2002 წლამდე 6-ჯერ გაიზარდა.



# ეკლესიაც აქტიურად ჩაერთვება

**ნარკომანიით დაავადებულთა მკურნალობისშემდგომი რეაბილიტაციის პროცესში ამიერიდან საქართველოს ეკლესიაც აქტიურად ჩაერთვება. – „მართლმადიდებლური ეკლესიის ჩართვა ნარკომანიის სენისაგან გათავისუფლებაში, ეს იქნება სერიოზული ნაბიჯი, რომელიც ავადმყოფებს იმ სიცარიელის შევსებაში დაეხმარებათ, რაც მათ ამჟამად აქვთ, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა საპატრიარქოში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე.**

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის განცხადებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ნარკომანს გაუჩნდეს სურვილი, განიკურნოს ამ სენისგან. – მას უნდა სწამდეს, რომ ის აუცილებლად განიკურნება. მესამე და მნიშვნელოვანი ფაქტორი ნარკომანთა განკურნებაში ის იქნება, რომ მათ აქტიურად დაიწყონ ეკლესიასთან ურთიერთობა, – აღნიშნა ილია მეორემ.

პატრიარქმა ასევე სურვილი გამოთქვა, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად მედიის საშუალებებმა მოამზადონ სპეციალური პროგრამები, რითაც საზოგადოება ამ მძიმე სენის ურთულეს შედეგებზე შეიტყობს.

შეხვედრაზე გამოითქვა ინიციატივა, შეიქმნას ერთობლივი კომისია, რომელიც ნარკომანთა განკურნებისშემდგომი რეაბილიტაციის ცენტრების მოწყობაზე და მათ დასაქმებაზე იზრუნებს.

საპატრიარქოში შეხვედრას ესწრებოდნენ რამდენიმე ეპარქიის წინამძღოლები და ნარკომანიის პრობლემაზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები.

თანამშრომლობა

# ევროპული სტანდარტის შესატყვისად

**ბათუმის ბორანი ევროპულ სტანდარტებზე გადადის. გუშინ ქალაქ ბათუმში საქართველოსა და რუმინეთს შორის ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.**

ერთობლივი საწარმოს მეშვეობით ბათუმის ბორანის მოდერნიზაცია განხორციელდება, რის შემდეგაც ბორანი ევროპულ სტანდარტებზე გადავა. საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის სერგო ტოპრაკაშვილის განცხადებით, ერთობლივი საწარმოდან ქართულ მხარეს 75 პროცენტი, ხოლო რუმინეთს 25 პროცენტი ეკუთვნის, შესაბამისად, მოდერნიზაციისთვის თანხების გაღება წილობრივი შეფარდებით მოხდება. ტოპრაკაშვილის თქმით, გადაიარაღებას სავარაუდოდ 8 მილიონი დოლარი დასჭირდება და საგრძნობლად გაზრდის ტვირთბრუნვას.

შეთანხმების მიხედვით, უახლოესი პერიოდიდან ბათუმსა და კონსტანცას შორის ბორანი რეგულარულად იმოძრავებს.

დაახლოება

# გარუჯულები დაბრუნდნენ ზღვიდან, გასარუჯავად მიდიან სხვები...

## გუშინ ჩაქვში ოსი და ქართველი ბავშვების ახალი ნაკადი ჩავიდა დასასვენებლად

**ამ ორიოდე კვირის წინათ, დილიდანვე, გორის რაიონის გამგეობასთან უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. პატარები, მშობლებს რომ აქ მოეყვანათ, ჩაქვში, ზღვაზე წასასვლელად ემზადებოდნენ. დედები მათი გაცილების თადარიგს იჭერდნენ. მთავარი კი ის იყო, რომ აქ ოსი და ქართველი თანატოლები – ცხინვალელი, ქურთელი, ჯაველი, ახალგორელი, აჩაბეთელი ოსი და ქართველი ბავშვები შეკრებილიყვნენ და, თუმცა, მანქანების ქარავანი შორეულ გზას ჯერაც არ გასდგომოდა, მათ უკვე მოესწროთ ერთმანეთის გაცნობა და დამეგობრება.**

ოსი მშობლები შიშობდნენ: ემანდ, ჩვენი აქ ყოფნა ცხინვალის მთავრობაში არ გაიგონ, თორემ გაგვიბრაზდებიანო. ხოლო თუ როგორი გაბრაზება იცის ცხინვალის მთავრობამ, ამ დღეებში ეს რამდენიმეჯერ გამოჩნდა ცხინვალის რეგიონში ქართველი ექიმების ბრიგადების, მეგზევეების შესვლისა თუ ჰუმანიტარული დახმარების შეტანის დროს. ქალბატონ სანდრა რულოვსს ხომ სავსებით უტაქტოდ მოექცნენ. აფსუს, ოსო ვაჟკაცებო, ქალის მიმართ რაინდული დამოკიდებულებით რომ ხართ (იყავით?) ცნობილი!

სიტყვა გაგვექცა. იმ დილით ავტობუსები ჩაქვის გზას დაადგნენ და აჰა, ორი კვირის შემდეგ, ზღვაზე გარუჯული და დასვენებული ოსი და ქართველი გოგო-ბიჭები უკან ბრუნდებიან, მათს მაგიერ კი გუშინ ისევ რაიონის გამგეობის შენობის წინ ზღვაზე წამსვლელთა ახალი ნაკადი შეიკრიბა. ისევ ოსი და ქართველი ბავშვები. ნაცნობი გეოგრაფია: დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობის სოფლების, ცხინვალისა და ჯავის მკვიდრნი. პატარები ზღვაზე კვლავ საქართველოს პრეზიდენტის მზრუნველობით დაისვენებენ და გაიკაჟებენ ორგანიზმს.

გუშინ შიდა ქართლის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა, პატარებს რომ ჩაქვში აცილებდნენ, თქვა: ზღვაზე დასასვენებლად ბატონ კოკოითსაც ვეპატიჟებითო. ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი არავის შეპარვია. მართლაც, ამ ზაფხულს მას ბევრი ნერვიულობა და სტრესი გადახდა. და სულაც არ იქნებოდა ზედმეტი, ცხინვალის ხელისუფალს შავ ზღვაზე ხანმოკლე დასვენებითაც ესარგებლა. ლიახვი კი არის ცივი და დალოცვილი, მაგრამ... ქართულ სოფლებში მიედინება...

**გურამ პავლიაშვილი,**
**„სრ“ მიმომხილველი.**

⊙ ჩვენებურთა ხვედრი უცხოეთში

# წისქვილის ქვა...

## მოულოდნელი წერილი ათენიდან

**მრავლის მსგავსად მეც ბევრჯერ დავფიქრებულვარ იმათ ბედზე (განსაკუთრებით ქალების), ვინც საყოველთაო უმუშევრობამ უცხოეთში გადახვეწა ოჯახისთვის ლუკმა-პურის საშოვნელად. აი, საუკეთესო თემა თანამედროვე მწერლებისთვის, რომელიმე სიტყვის ოსტატის მადლიანი კალამი, ალბათ, მომავალში მთელი სისრულით წარმოაჩენს ჩვენს თანამემამულეთა, ქვეყნის ამ ტრაგედიას! ეს აზრი არაერთხელ გაჟღერებულა საქართველოს რადიოს პროგრამა „დროების“ პუბლიცისტურ პროგრამებში, რომლის ავტორი და წამყვანიც გახლდით, სანამ ვაჟის შეძენის გამო დროებით ჩამოვშორდებოდი აქტიურ ჟურნალისტურ ცხოვრებას.**

**წერილი, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ და რომელმაც პირადად მე სულით ხორცამდე შემძრა, ვფიქრობ, არავის დატოვებს გულგრილს ოჯახს მოშორებული ქალების ხვედრის მიმართ, თუმცა, მარტო თანაგრძნობა რა ბედენაა, მთავარი იმათი დაინტერესებაა, ვისაც ვითარების სასიკეთოდ შემობრუნება ძალუძთ, როგორც თავად მიხვდებით, წერილიც სწორედ ამ იმედითაა დაწერილი.**

**მისი ავტორი ჩემი ახლო ნაცნობია, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში ჩაირიცხა, სიყვარულით გათხოვდა, შეეძინა ქალ-ვაჟი, შესანიშნავი ოჯახი შექმნა. მრავალი წლის მანძილზე მასთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია. ბუნებრივია, არც მისი საბერძნეთში წასვლის შესახებ ვიცოდი რაიმე. ამიტომაც გამიკვირდა, როცა დამირეკეს და მითხრეს, საბერძნეთიდან ლიანა პარკინაშვილმა თქვენთან წერილი გამოგვატანაო. წავიკითხე და მეწყინა!**

**დანარჩენს თავად წერილიდან შეიტყობთ.**

**ზინა მჭედლური.**



შორიდან მოგესალმები, ჩემო ზინა! ალბათ, გაგიკვირდება ჩემგან წერილის მიღება, მაგრამ ძალიან გთხოვ, ნუ გაიკვირვებ – ყოველთვის მახსოვხარ. არ ვაჭარბებ, მე ყოველთვის ვამაყობდი შენით. გილოცავ ოჯახის შექმნას, დედობას, ღირსეულ მეუღლეობას. დარწმუნებული ვარ, მეუღლეც შესაფერისი გეყოლება. სანამ საქართველოში ვიყავი, რამდენჯერმე ვცადე შენთან დაკავშირება სამსახურში, მაგრამ ვერ მოვახერხე. ახლა შორს ვარ, ათენში. ვუვლი 99 წლის მოხუცს, საღ გონებაზე მყოფს, მოსიარულეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ საქმე არც ბევრი მაქვს და არც ძნელი. მაგრამ ღმერთმა ნურც შენ და ნურც სხვას ნუ გადაატანინოს ის ჯოჯოხეთი, რაც ოჯახთან, შვილებთან დაშორებაა. ჩვენს თავზე მართლაც წისქვილის ქვა დატრიალდა.

აქ ყველანაირი ხალხია ჩამოსული, დამხვდურიც ყველანაირია. ზოგიერთი ძალიან მძიმე სამუშაოზეა: გადადებულ სნეულთან, ლოგინად ჩავარდნილთან, სულით ავადმყოფთან, სკლეროზიანთან. ამის წერილით აღწერა შეუძლებელია.

ვერასდროს წარმოვიდგენდი, მე თუ მომიწევდა ასეთი ცხოვრება. სანამ უკანასკნელ მდგომარეობამდე არ მივედი, ვერ გადავწყვიტე. ნერვიულობით სიგიჟემდე მივდიოდი, ფრიადოსანი სტუდენტი ბიჭი გაჭირვებით ახერხებდა ლექციებზე სიარულს გზის ფულის უქონლობის გამო. თითქმის 3-4 წელიწადი მშივრები და შიშვლები მყავდნენ შვილები. უმუშევრები ვიყავით მეც და ზურაც. მომავლის ყოველგვარი იმედი რომ გადაგვეწურა, გადავწყვიტეთ, ჩვენი სიყვარული და ერთმანეთთან ყოფნის სურვილი შვილების კეთილდღეობისთვის შეგვეწირა და დავშორდით: მე აქ ათენში ვარ, ზურა კი სახლში, შვილებთან. როგორც ბევრ ქართულ ოჯახში, ჩვენც ფუნქციები გადავცვალეთ: ქალი – გარეთ საშოვარზე, კაცი – სახლში, რადგან მისი სამუშაო ძნელი საშოვნელია. ვითომ ქალები უფრო ამტანები არიან, ვიდრე კაცებიო, მაგრამ არა მგონია შვილებთან დაშორება ქალებმა კაცებზე ადვილად გადაიტანონ. აქ ყველა დედა დაავადებულია ნერვებით და გულით. ყველანი წამლებით ვცოცხლობთ – წერილებით და წამლებით.

ზინა, ჩემო პატარა დაიკო, ბევრი წამიკითხავს სამშობლოდან გადახვეწილი ხალხის შესახებ. ბევრი იწერება დღესაც, მაგრამ რატომღაც არ მახსოვს (იქნებ ვცდები, მაგრამ არ მახსოვს), წამეკითხოს, რას გრძნობენ შვილები, როცა მარტონი, უდედოდ რჩებიან.

იქნებ არც გცალია ჩემი წერილის წასაკითხად, იქნებ შენი პატარა არც გაცლის კითხვას? ხომ იცი, ბავშვს არ ეღალატება. ჰოდა, როცა მოიცლი, ძალიან გთხოვ, ყურადღებით წაიკითხო ჩემი შვილების წერილებიდან ამოწერილი სტრიქონები. ირმას წერილებიდან (ირმა ახლა 23 წლისაა, ზვიადი – 22 წლის): „ჩემო დედა, არც კი ვიცი, რა მოგწერო, შენი ასე შორს ყოფნა დღესაც წარმოუდგენელი და მიუღებელია ჩემთვის. უზომოდ, უსაზღვროდ მენატრები. მენატრები ისე, რომ ვერც გადმოგცემ. დღე ჩვეულებრივ იწყება და ჩვეულებრივ მთავრდება, ჩვეულებრივ ვიღვიძებთ და ვიძინებთ, მაგრამ რაღაც გვაკლია, რაღაც ძალიან დიდი, ძლიერი, მნიშვნელოვანი. რაღაც მთავარი, ჩვენი ერთმანეთთან დამაკავშირებელი – დედა გვაკლია. სულ ვფიქრობდი: ოჯახი, ეს არის ორი ნახევარი, ერთი – დედა, მეორე – დანარჩენი წევრები. ასეც ყოფილა, არ ვიცი, როგორ ვიქნებით, როგორ გავძლებთ უშენოდ!“; „სულ ჩვენს გახლეჩილ ოჯახზე ვფიქრობ. მინდა რომ ისევ ერთად ვიყოთ ყველა, ვსაუბრობდეთ, ვიცინოდეთ, ვკამათობდეთ და მაინც ერთად ვიყოთ!“; „ეს პერიოდი ჩვენი ცხოვრების უდიდესი ტკივილის პერიოდია, რომელიც ღრმა კვალს დატოვებს ჩვენზე. არ ვიცი, რა გამაძლებინებს უშენოდ. აღარც მხიარულების სურვილი მაქვს, არც სიცილის, არც გართობის!“; „აღარც სწავლა მინდა, აღარც არაფერი, ოღონდ ახლა აქ იყო. რა ვუთხარი ასეთ სიცოცხლეს, როცა ან შიმშილით და სიცივით უნდა გძვრებოდეს სული და ან ვინმეს მონატრებით გტკიოდეს გული. მაგრამ ყველაზე მეტად მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ჩვენი სწავლის გულისთვის გახიზნული ხარ უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხთან, თავდახრილი და ვიღაცის სურვილების მორჩილი!“ ზვიადის წერილიდან: „გამარჯობა დედა, ათი წუთია, ვწვალობ და ვერ დამიწერია, როგორ ხარ-მეთქი. სამი საათის წინ გავიგე ტელეფონით შენი ძალიან ნაღვლიანი ხმა. როგორ ძლებენ სხვა დედები? ძალიან მენატრები. არ მავიწყდება, რომ ქართველ ხალხს – ქალებს, კაცებს და ბავშვებსაც კი, ბევრი უბედურება გადაუტანიათ: სამშობლოდან მოტაცება, ტყვედ წაყვანა, გაყიდვა და ათასგზის დამცირება. აი, ამის ფონზე აუცილებლად უნდა გავუძლოთ ჩვენს მდგომარეობას. ალბათ, დარდზე ძლიერი იმედი უნდა იყოს. ხშირად მესიზმრები. ქვეშეცნეულად შენ გელოდებით კარის ყველა გაღებაზე!“...

ზინა, ყოველგვარი შელამაზების გარეშე მოგწერე ჩემი შვილების ფიქრები და გრძნობები. აი, ასე ფიქრობენ დანარჩენების შვილებიც, ასეულები, იქნებ ათასებიც.

საბოლოოდ კი ასე მინდა დავამთავრო: ჩვენს ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები უკეთესი მომავლის დიდ იმედებს გვაძლევს. მოვუსმინე ნინო ბურჯანაძის ინტერვიუს ათენელ კორესპონდენტთან, – „ყველანაირად ვეცდებით თქვენს ქვეყანაში თავშეფარებული ქართველი ქალები რაც შეიძლება მალე დაუბრუნდნენ თავიანთ სამშობლოს და ოჯახებსო“. ღმერთმა ქნას.

გემშვიდობები. გისურვებ ყოველივე კარგს, ბედნიერებას და დიდ სიყვარულს შენს ოჯახში. ლიანა.

P. S. **ზინა, რატომღაც დიდი სურვილი გამიჩნდა, დაწერო ჩვენზე, რა თქმა უნდა, არა კონკრეტულად ჩემზე და ჩემს ოჯახზე, საერთოდ, ზოგადად, ჩემნაირ დედებზე და ჩემი შვილებისნაირ შვილებზე (იგულისხმება იძულებითი დაშორება ქვეყნის შეჭირვების გამო). გამოაქვეყნე ქალთა გაზეთში ან ჟურნალში ჩვენი და ჩვენნაირების მდგომარეობა. იქნებ ხელისუფლების წარმომადგენლებმაც წაიკითხონ და გულთან მიიტანონ! იქნებ სხვა დედებმა გაუძლონ მანდაურ გაჭირვებას და არ დატოვონ ოჯახები და არ გადაატანინონ თავიანთ შვილებს განშორების ტკივილი. განსაკუთრებით მინდა წერილებიდან ამოწერილი ფრაზები გამოაქვეყნო. ნუ დაიზარებ. ჩვენ, ქართველი დედები, აქ ათენში ვღებულობთ, ვყიდულობთ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, აქ წავიკითხავთ. გკოცნი შორიდან.**

# ქართველები ბედს ეძებენ

**XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ფეხმოდგმული მოსახლეობის შრომითი მიგრაცია თავისი მასშტაბით, ქვეყნის განვითარებაზე ზეგავლენით, მრავალმხრივი სოციალური შედეგით და მართვის სირთულით, დღევანდელი საქართველოს უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. ეკონომიკური გაჩანაგების კვალობაზე მკვეთრად შეიზღუდა მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობები (დასაქმებულთა რაოდენობამ 2763 ათასიდან 1749 ათასამდე, ანუ ერთ მილიონზე მეტი კაცით შემცირდა). ამას ისიც ემატება, რომ დაბალია მომუშავეთა შრომის ანაზღაურების დონე: ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 67,5 ლარს შეადგენს, რაც საარსებო მინიმუმის დაახლოებით 60 პროცენტია.**

**შარშან მიგრაციის არასამთავრობო სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფართო კვლევა ჩაატარეს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ – ეკონომიკური განათლების ასოციაციამ. ამ კვლევის შედეგად წარმოდგენილი ანგარიში საქართველოდან შრომითი მიგრაციის რელიეფურ და უსიხარულო სურათს იძლევა.**

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ შრომითი მიგრაციული ნაკადები ძირითადად ოთხი ქვეყნისკენაა მიმართული. ესენია: რუსეთი (39 პროცენტი), აშშ (14 პროცენტი), საბერძნეთი (14 პროცენტი) და გერმანია (13 პროცენტი).

რუსეთისკენ ლტოლვას განაპირობებს იქ სამუშაო ძალაზე შრომის ბაზრის მოთხოვნის სპეციფიკა, ისტორიულად ჩამოყალიბებული შრომითი ურთიერთობანი, სახელმწიფო ენის შედარებით უკეთესი ცოდნა, მეტი ინფორმირებულობა, ხოლო სხვა ქვეყნებისთვის – დიდი განსხვავება სამუშაო ძალის ფასში საქართველოსთან შედარებით.

რუსეთში მომუშავე ჩვენი მიგრანტების წილი ზოგადად ყველაზე მაღალია – დროებით სამუშაოდ წასული მთელი კონტინგენტის მეოთხედი. რუსეთი, ალბათ, მომავალშიც დარჩება საქართველოს შრომით მიგრანტთა ძირითად მასპინძლად, თუმცა სტატისტიკა უჩვენებს, რომ ბოლო წლებში წამსვლელთა ნაკადი თანდათან მცირდება. კრიზისის პირველ წლებში რუსეთს უმთავრესად რუსულენოვანი მოსახლეობა მიაწყდა. ისინი შემდგომ წლებში მუდმივად დასახლდნენ იქ და შეერწყნენ რუსეთის მოსახლეობას. თანდათან, შრომითი მიგრაცია საქართველოს მკვიდრი მოსახლეობით გაჯერდა, თუმცა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბვისა და სავიზო რეჟიმის შემოღების შემდგომ დაბრკოლებებმა იმატა, რაც არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასაც აფერხებს.

რუსეთში ჩვენგან წასულთა შორის 41 პროცენტი დამხმარე მუშად მუშაობს, მაგრამ იქ საკმაოდ მაღალია იმათი წილიც, რომლებმაც საკუთარი ბიზნესი დაიწყეს (18 პროცენტი). საერთოდ, საქართველოში შრომით მიგრანტთა მთლიან ნაკადში ბიზნესმენთა 75 პროცენტი რუსეთში მოღვაწეობს. იქ უფრო მეტად ხდება პიროვნული შრომითი პოტენციალის რეალიზება, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რაც გასათვალისწინებელია საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაციის პროგნოზირებისა და რეგულირებისას. იქაურ შრომის ბაზარს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მეტად სჭირდება მძღოლები, ავტოსერვისში დასაქმებულნი, ექიმები და ექთნები, ვაჭრობის დარგის მუშაკები, უმაღლესი განათლების სპეციალისტები.

საბერძნეთისკენ მიმართული ნაკადის სიდიდე, ნაწილობრივ, ამ ქვეყანაში შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის (განსაკუთრებით, მომვლელ ქალებზე – საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით) მოთხოვნის სპეციფიკამაც განაპირობა.

გერმანიაზე მოდის სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით (11,6 პროცენტი) და უკვე გერმანიაში მყოფი ნათესავ-მეგობრების დახმარებით წასულთა დიდი ნაწილი.

შრომით მიგრანტთა აბსოლუტური უმრავლესობა არალეგალურად ცხოვრობს და მუშაობს უცხოეთში. თითქმის ერთი მეხუთედი „ბედის ანაბარად“ მიდის საზღვარგარეთ და, ბუნებრივია, უამრავ ორგანიზაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას აწყდება.

იხ. მე-4 გვ.

⊙ ინფორმაცია

<u>კრიმინალი</u>

### დაზარალებულმა ეჭვმიტანილი ამოიცნო

**ზესტაფონელმა სამართალდამცველებმა გუშინ დილით სპეცოპერაციის დროს, ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი გიორგი ყოყოჩიშვილი სოფელ დილიკაურში აიყვანეს. მას დაკავების დროს წინააღმდეგობა არ გაუწევია.**

წარსულში ორჯერ ნასამართლევი, 30 წლის ყოყოჩიშვილი, რომელიც თელავის რაიონის სოფელ კარფში ცხოვრობს, მიმდინარე წლის აპრილში, ზესტაფონში გურამ ბერაძის ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაშია ეჭვმიტანილი.

დაზარალებულმა დაკავებული გიორგი ყოყოჩიშვილი ამოიცნო.

### პოლიტიკაში გააქტიურდი, კიამალ? – ფრთხილად იყავ, არ გიწიოს ტყვიამა!

**სოხუმში, დაუდგენელმა პირებმა აფხაზეთის დედაქალაქის შუქურას დასახლებაში თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ძმისწულის კიამალ არძინბას ავტომანქანა დაცხრილეს.**

სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც მთელი დღის განმავლობაში პრეზიდენტის ძმისწულზე თავდასხმის ფაქტს არ ახმაურებდა, ინფორმაციის გაჟონვის შემდეგ, იძულებული გახდა დაედასტურებინა მომხდარი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ავტომანქანაზე თავდასხმის შედეგად კიამალმა უმნიშვნელო ჭრილობა მიიღო და სამედიცინო დახმარების შემდეგ იგი სახლში გადაიყვანეს.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ქალაქ სოხუმის საქალაქო პროკურატურა იძიებს.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ვლადისლავ არძინბას ძმისწულზე თავდასხმა მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება, ვინაიდან პოლიტიკური პროცესებისგან ყოველთვის შორს მდგომი და ძირითადად ბიზნესით დაკავებული კიამალ არძინბა უკანასკნელ პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე საგრძნობლად გააქტიურდა.

<u>კონტრაბანდა</u>

### ყავისტები გაებნენ...

**გუშინ დილით, ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის განყოფილების და ტრანსპორტის პოლიციის თანამშრომლებმა რკინიგზის „სადახლოს“ მონაკვეთზე 2 ტონა კონტრაბანდული ტვირთი – ყავა და წებო დააკავეს, რომელიც სომხეთიდან რკინიგზით გადმოჰქონდათ.**

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით აღიძვრება, რაც სასჯელს დიდი რაოდენობით კონტრაბანდის შემოტანისთვის ითვალისწინებს.

### ამ სიგარეტს ვერ გააბოლებენ...

**ბათუმის ფინანსური პოლიციის, საგადასახადო დეპარტამენტისა და ბათუმის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივი ღონისძიების შედეგად, 45 ყუთი უაქციზო სიგარეტი აღმოაჩინეს.**

კონტრაბანდის გზით შემოტანილი სიგარეტი გოგოლის ქუჩა №34-ში, ჯემალ ვერძაძის სახლში იპოვეს. სამართალდამცველთა განმარტებით, კონტრაბანდული სიგარეტი ოჯახის პატრონს ეკუთვნის. უაქციზო სიგარეტის საერთო ღირებულება 22 ათასი ლარია.

**ინტერ-პრესი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 147, კვირა, 27 ივნისი, 2004 წელი.

◎ ერთგულება

# როცა სიკვდილი უძლურია

## უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე...

**დიახ, დიახ და კიდევ ერთხელ – დიახ! – სიყვარულზე დიდი ბედნიერება მაინც არაფერია! მით უმეტეს, დღეს, როდესაც ვრწმუნდები, რომ ყველაფრის ყიდვა შეუძლებელია და... შესაძლებელიც... როდესაც ისე გწყურია ერთგულება, „...ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა...“ ამიტომაც ახლა განსაკუთრებით ვუფრთხილდები და პატივს მივაგებ მათ, ვისთვისაც „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე...“**



ნანი მაძაღუა და ვიქტორ (ლუტუ) იმნაძე... – ეს ორი სახელი ისე გადაეჯაჭვა ერთმანეთს, რომ მათი ცალცალკე ხსენება შეუძლებელია მათთვის, ვინც ამ რუდუნებით შექმნილ ოჯახს იცნობს...

ლუტუ (როგორც მას მოფერებით ეძახდნენ) უკვე მეცხრე წელია ზეციურ საქართველოში განისვენებს. მაგრამ ვიდრე ნანი არსებობს ამქვეყნად, მათ ოჯახს კვლავ ოჯახი ეთქმის, სადაც შეხვედრის დღეები და ტრადიცია მკაცრადაა დაცული.

ქალთა და ვაჟთა სკოლები რომ შეერთდნენ, ნანი და ლუტუ მეათე კლასში იყვნენ, თუმცა მეოთხე კლასიდან უკვე ბავშვური მიამიტობით ერთმანეთს ეტრფოდნენ. ნანი დედას დაჰყავდა სკოლაში, ლუტუ ტრამვაიზე ჩამოკიდებული ხვდებოდა თავის პატარა სატრფოს და ასე აწონებდა თავს! მერე X-XI კლასი... პირველი საშუალო სკოლა... სიყვარული, აღტაცება, ბედნიერი წლები! 1962 წლის 24 ნოემბერს შეუღლდნენ და 1996 წლამდე ერთმანეთი ახლად შეყვარებულებივით ეძვირფასებოდათ. მოულოდნელად მოვარდნილმა სენმა განაცალკევა ისინი, თუმცა, სიკვდილი უძლური აღმოჩნდა, – ნანი ისე ლაპარაკობს ქმარზე... მის სახლში ყველაფერი იმდენად „ისევ ისეა“, ისე ძველებურად იხიბლები ამ სახლში შექმნილი ჰარმონიულობით, რომ ღმერთო ჩემო! – თითქოს ოჯახის თავკაციც, მეუღლე და მეგობრები „წრეგადასულად“ რომ უყვარდა, საცაა კარს შემოაღებს სულ ერთი წუთით გასული, ვთქვათ, მეზობლის დასაძახებლად! ბევრ რამეს ჩვენს ირგვლივ ხომ კულტურა განსაზღვრავს: ყოფის კულტურა, სიყვარულის კულტურა, ზეიმის კულტურა და თავად წყენის კულტურაც კი! მაგრამ გლოვის კულტურა, ვფიქრობ, ყველაზე მეტად წარმოაჩენს ადამიანის რწმენასა და სილამაზეს. ასე ლამაზად გლოვობს ნანი თავის ძვირფას ადამიანს, ასე სწამს მისი „მხოლოდ ფიქრებში წასვლისა“, ახლა კი... ახლა იუმორითა და განუმეორებელი სიცილით იხსენებს, როგორ დაუთქვეს პაემანი ერთმანეთს უკვე კარგახნის შეუღლებულებმა. სცენარი კი ასეთია: ლუტუმ სამსახურიდან (სოფლის მეურნეობის სამინისტრო) უნდა გამოუაროს ნანის სამსახურში, (ნანიმ გამომცემლობა „მერანში“ 37 წელი იმუშავა მთარგმნელობითი განყოფილების რედაქტორად, თარგმნილი აქვს ბევრი წიგნი რუსული ლიტერატურიდან), ნანი უნდა იდგეს „მერანის“ მოპირდაპირე მხარეზე, – მანქანა აქ უნდა შეჩერდეს და ჩაჯდეს. მანქანამ მართლაც გამოიარა, ნანიც „პიონერივით“ მზადყოფნაში გახლდათ, მაგრამ ისე ჩაუქროლა ფიქრებში წასულმა ლუტუმ, რომ შეხვედრის ადგილს გასცდა... ნანი მანქანას მისდევს და ყვირის: „ – მოიცა ლუტუ, სად მიდიხარ!“ – როგორც იქნა, მიაწვდინა ხმა და „შერცხვენილი“ ქმარი უკან დაბრუნდა. სიცოცხლიდანაც ასე წავიდა იქნებ ფიქრებში გართული? დაბრუნდი, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ... – და ნანის ტკბილი მოგონებებისაგან სახე უცისკროვნდება. მერე კი შეფარებული ნაღველით ამბობს: რა უცნაურია, რომ მაინცდამაინც ჩვენ არ გვეყოლა შვილი. ეს ნამდვილი სასჯელი იყო, მაგრამ იგივე ღმერთმა სიკვდილამდე ერთმანეთის სიყვარულით დაგვაჯილდოვა.

**მზია ხეთაგური.**

◎ ჩვენებურთა ხვედრი უცხოეთში

# ქართველები ბედს ეძებენ

**(მესამე გვერდიდან)**

შრომით მიგრანტთა ნაკადში ყოველი მესამე ქალია. საშოვარზე წასვლა მხოლოდ კაცის კი არა, ქალის ფუნქციაც გახდა.

1990-იან წლებამდე საქართველოში საზოგადოებრივი აზრისთვის სრულიად მიუღებელი იყო ქალთა შრომითი მიგრაცია. მაგრამ ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა, გამოსავალი ქვეყნის გარეთ დასაქმებაში ეძებნა.

მეორე მხრივ, შრომის საერთაშორისო ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა ქალთა სამუშაო ძალის გარკვეულ კატეგორიაზე (მოახლეები, ძიძები, მომსახურების სფერო), რამაც ხელი შეუწყო ჩვენში ქალის უკიდურესად გაიაფებული სამუშაო ძალის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლას.

საერთოდ, მთელ მსოფლიოში იცვლება შეხედულება მიგრაციაში ქალის როლის შესახებ. მიგრაციის ფემინიზაციას შრომითი მიგრაციის განვითარების ახალ ეტაპად მიიჩნევენ და დიდ პროგრესად თვლიან გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე. მაგრამ ის, რომ ქალს მამაკაცის თანასწორად შეუძლია გაიზიაროს საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული დისკრიმინაცია, წააწყდეს განვითარებული ტრეფიკინგის უამრავ მანკიერ მხარეს, სრულიად ჩრდილავს მის უფლებრივ წარმატებებს. ეს მით უმეტეს საქართველოდან სამუშაოდ წასულებზე ითქმის, რომელთა უდიდესი მასის ყოფითი სამყარო, ტრადიციები, ოჯახისადმი დამოკიდებულება, გენდერული მოვალეობანი დაეჯახა ამ თვალსაზრისით კონტრასტულ გარემოს. განსაკუთრებით, მათთვის უცნობი შრომის ბაზრის სეგმენტში – სექსმომსახურებაში ჩაბმით საუკუნეობრივად ფორმირებული მაღალი ფასეულობანი, რომელიც ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის გენერაციული ფუნქციის განხორციელების ფორმას უკავშირდება, არაბუნებრივად სწრაფად დაინგრა.

ქართველი ქალის გასვლა საერთაშორისო შრომის ბაზარზე შიმშილით იძულებაა და ეწინააღმდეგება ქალის მთავარ გენერაციულ ფუნქციას, ახალი თაობის აღზრდასა და კვლავწარმოებას. ამდენად, თუ ვინმე დადებითად აფასებს შრომითი მიგრაციის ფემინიზაციას ქალის ემანსიპაციის კუთხით, მისი ეს მეორე, უარყოფითი მხარეც არ უნდა დაივიწყოს.

საქართველოში შრომითი მიგრაცია ინტენსიური დეპოპულაციის, მოსახლეობის მუდმივი მიგრაციული კლებისა და შობადობის კრიტიკულ დონემდე ვარდნის ფონზე მიმდინარეობს, როგორც სტაციონარული, ისე შრომითი მიგრაციის გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე უკიდურესად უარყოფითია. გაეროს შეფასებით, არსებული დემოგრაფიული ტენდენციები თუ კიდევ გაგრძელდა, უახლოეს ათწლეულებში საქართველოს მოსახლეობა 2 მილიონით შემცირდება, რაც ამჟამინდელი მოსახლეობის თითქმის 40 პროცენტს შეადგენს (ევროპაში ასეთი დონის კლება მხოლოდ ბულგარეთის, უკრაინისა და ესტონეთისათვის არის ნავარაუდევი). საქართველო ამჟამად პრაქტიკულად ვერ ატარებს დემოგრაფიულ პოლიტიკას, მისი ზოგიერთი რაიონი გაუკაცრიელების საფრთხის წინაშე დგას (მაგალითად, ტყიბულის ზონაში ქვანახშირის მოპოვების შეწყვეტის შემდეგ, სრული გაუკაცრიელების საფრთხე შეიქმნა).

ასეთ ვითარებაში ქალთა ძირითადი ნაკადი საბერძნეთის, გერმანიისა და აშშ-კენ არის მიმართული. რუსეთის შრომის ბაზრის მოთხოვნის თავისებურებების გამო მათი წილი იქ მცირეა (14,9 პროცენტი), ხოლო დანარჩენ სამ ქვეყანაში შემდეგნაირად ნაწილდება: აშშ – 54,7 პროცენტი, გერმანია – 69,4 პროცენტი, საბერძნეთი – 70,1 პროცენტი.

ქალები დასაქმებული არიან მომსახურების სექტორში (მომვლელები – 33,1 პროცენტი, აღმზრდელები – 9,2, ოფიციანტები – 4,8, დამლაგებლები – 9,2, გამყიდველები – 5,5 პროცენტი და ა. შ.).

მამაკაცებთან შედარებით ქალებს უფრო უჭირთ სამშობლოსა და ნათესავებთან დაშორება. უმეტეს შემთხვევაში შრომითი მიგრაციის დროს ხდება ოჯახის ფაქტობრივი გაყოფა. ხშირია შემთხვევა, როცა მიგრანტი ქალები სხვის შვილებს ზრდიან, მათსას კი აქ ნათესავები მზრუნველობენ. მათი წილი, ვისაც ქმარი და შვილები საქართველოში ჰყავს, მთელ ნაკადში 27 პროცენტია, ხოლო მარტოხელა დედებისა – 37 პროცენტი. ქალებს მამაკაცებთან შედარებით უფრო ხშირი კავშირი აქვთ აქ დარჩენილი ოჯახის წევრებთან.

ძალზე ძნელია იმათი რაოდენობის დადგენა, რომლებიც ე. წ. სექს-მომსახურების სექტორში არიან დასაქმებული. თუმცა, არის მონაცემები, რომ ქართველი ახალგაზრდა ქალები ხშირად ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლი და მისდაუნებურად ებმებიან სექს-ბიზნესშიც. ამას ხელს უწყობს უმთავრესად არალეგალური მუშაობა. არალეგალურობის გამოა, რომ მიგრანტ ქალთა უმეტესობა (57,5 პროცენტი), რაც წავიდა, აღარ ჩამოსულა: ჩამოსვლის შემთხვევაში უკან გაბრუნება გაუჭირდება.

შრომით მიგრაციაში წასული ქალების დახმარება აქაური ოჯახებისადმი მეტად მნიშვნელოვანია. გამოკვლევის მიხედვით, ისინი მამაკაცებთან შედარე-



ბით თვეში საშუალოდ 40 დოლარით მეტს გზავნიან.

დაოჯახებულ ქალთა უკან დაბრუნების პოტენციალი გაცილებით მაღალია კაცებთან შედარებით. რაც შეეხება დაუქორწინებელ შრომით მიგრანტებს, აქ ქალთა უცხოეთში დარჩენის ალბათობა უფრო მეტია.

ამჟამინდელი საქართველოს შრომითი მიგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და არსებითი ნიშანია შრომით მიგრანტთა ნაკადის განათლების მაღალი დონე და კვალიფიციური შემადგენლობა (უმაღლესდამთავრებულთა წილი მთელ ნაკადში 44 პროცენტს აღემატება. მთელ კონტინგენტში უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეა 67 პროცენტი). ამას თავისი ახსნა აქვს: საქართველოს მოსახლეობის განათლების პოტენციალი მეტად მაღალია, შიდა შრომის ბაზარზე კი, პირველ რიგში, სწორედ ასეთ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შეიკვეცა.

ყველაზე მაღალი განათლების დონე აშშ-ში წამსვლელებს აქვთ. იქ სამუშაოდ გასულთა 65,1 პროცენტი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტია. ყველაზე ნაკლებია უმაღლესდამთავრებულთა წილი საბერძნეთსა (33,7 პროცენტი) და რუსეთში (34,6 პროცენტი) სამუშაოდ წასულთა შორის.

ამ ქვეყნებში შრომით მიგრანტთა დიდი ადამიანური კაპიტალის გამოყენება არ ხდება: მომვლელად მუშაობს უმაღლესდამთავრებულთა 17,5 პროცენტი, დამხმარე მუშად – 17,9, დამლაგებლად – 4 პროცენტი. სპეციალობით მუშაობს მხოლოდ 17,5 პროცენტი, ისიც ყველაზე ნაკლები რანგის სამუშაოზე.

პროფესიული თვალსაზრისით შრომით მიგრანტთა ნაკადის სპექტრი მეტად ფართოა: ყველაზე დიდი წილით არიან წარმოდგენილი ინჟინრები და ეკონომისტები (13-13 პროცენტი), მასწავლებლები (9 პროცენტი), ექიმები (4 პროცენტი), ხელოვნების სფეროს მუშაკები (4 პროცენტი); უმაღლეს დაუმთავრებელთაგან – მძღოლები (7 პროცენტი) და ხელოსნები (4 პროცენტი).

საბოლოოდ შეიძლება გაკეთდეს საგანგაშო დასკვნა: საქართველოდან შრომით მიგრაციაში მონაწილეობს მაღალი განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კონტინგენტი. ამით ქვეყნის შრომითი პოტენციალი მნიშვნელოვნად ქვეითდება. მიმდინარეობს მოსახლეობის არა მარტო დიდი მასშტაბის რაოდენობრივი, არამედ სტრუქტურული დაკარგვა, მით უმეტეს, რომ ამ დიდი კაპიტალის შესაფერი რეალიზაცია საერთაშორისო შრომის ბაზარზე არ ხდება. საქართველოდან წასულთა მხოლოდ ნაწილი თუ იმაღლებს კვალიფიკაციას, ძირითადი მასის ადამიანური კაპიტალი კი უფასურდება.

საზღვარგარეთ ყოფნისას უხდებათ არა მარტო ახალ წარმოებით და შრომით გარემოსთან ადაპტაცია, არამედ განსხვავებულ სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებთან შეგუებაც. ამით არის გამოწვეული ბევრი სიძნელე, რაც ხანდახან ისეთი სიძლიერისაა, რომ ვითარდება ფსიქიკური შეუთავსებლობა, ნოსტალგიის მძაფრი გამოხატულება. საქართველოს შრომით მიგრანტთაგან ყველაზე მეტად საბერძნეთში მომუშავენი ამჟღავნებენ სოციალურ-საყოფაცხოვრებო გარემოსადმი შეუგუებლობას. ეს კი კონტინგენტია, რომელიც არ გამოირჩევა განათლების მაღალი პოტენციალით, უფრო ხნიერია, ადგილობრივი სახელმწიფო ენა არ იცის და საკუთარი შრომითი პოტენციალის სრულიად შეუსაბამო საქმიანობას ეწევა.

ყველაზე ნაკლები შემოსავლები აქვთ სამუშაოდ დსთ ქვეყნებში წასულ პირებს. 350 დოლარზე ნაკლებს იღებს რუსეთში სამუშაოდ წასულთა 67 პროცენტი, საბერძნეთში მიგრანტთა 70 პროცენტის შემოსავლის დიაპაზონი 350-700 დოლარია, გერმანიაში მათი 87 პროცენტის შემოსავალი 1000 დოლარს აღემატება. აშკარად დიდი შემოსავლით გამოირჩევა აშშ-ში მომუშავე ჩვენი თანამემამულენი. მათი 78,8 პროცენტის შემოსავალი 1000 დოლარს აღემატება, ხოლო 36,5 პროცენტი 2000 დოლარზე მეტს იღებს.

ამჟამად შრომითი მიგრაციის საშუალებით საქართველოში ასეულ ათასობით ოჯახი იღებს საარსებო თანხას, ქვეყანაში კი შემოდის სამუშაო ძალის ექსპორტით მიღებული მნიშვნელოვანი ვალუტა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა შეფასებით, თითოეულ მიგრანტს წელიწადში ფულისა და საქონლის სახის საშუალოდ 2000 დოლარი შემოაქვს. სულ კი, ზოგიერთი მკვლევარის დაანგარიშებით, საქართველოში ყოველწლიურად 720 მილიონი დოლარი შემოდის, ზოგიერთი 600-700 მილიონს ვარაუდობს, ზოგი კი – 480-500 მილიონს, რაც ალბათ ყველაზე რეალურია.

როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს, შრომითი მიგრაცია საკმაოდ მყარია და უახლოეს მომავალში მისი ინტენსიურობის საგრძნობ კლებას არ უნდა ველოდეთ. დაბრუნების უმთავრესი პირობები ეკონომიკური ხასიათისაა, ამიტომ უკან დაბრუნების პოტენციალი, ჯერჯერობით, სუსტია საქართველოს ეკონომიკის სტაგნაციის გამო. ის კი არა, თუ მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, სავარაუდოა, რომ მუდმივ ემიგრაციაში წასვლის მსურველთა რიცხვმა იმატა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თანამემამულეებს სამშობლოში დაბრუნება მოუწოდა. ხელისუფლებას ამ პროცესის ხელშემწყობი პირობების შექმნა მოუწევს...

**ალეკო ასლანიშვილი.**

◉ წუთისოფელი

# ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

## ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს


გვანჯი ჩიქოვანი.

**დიდებული პიროვნების, მთელ საქართველოში ცნობილი ვაჟკაცის გვანჯი ჩიქოვანის (1879-1969, თვითონ დაბადების თარიღად 1881 წელს ასახელებს) ცხოვრების მოკლე ისტორია, მისი მოგონებები ბევრი რამით არის ძვირფასი, საინტერესო და შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ, რომ იგი დაკარგვას გადაურჩა. ყოვლად უმიზეზოდ დაპატიმრებული ამ ნამდვილი რაინდის ნაამბობი ორთაჭალის კოლონიაში ჩაუწერია მასავით პატიმარ მამაჩემს, ბავშვთა ექიმს დავით კვიტაიშვილს.**

**მამაჩემი იქ სანიტარიული ნაწილის გამგე იყო, ცალკე ოთახიც ჰქონდა, ხოლო გვანჯი ჩიქოვანს იქაური პატიმრებისთვის განკუთვნილი აბანო ებარა. თავისუფალ დროს მამაჩემი ნამალევად იწერდა გასაოცარი თავგადასავლების მქონე იშვიათი პატიმრის მონათხრობს. მალე, 1949 წელს, როცა მას შორეული გადასახლება ელოდა, ხელნაწერის ორი რვეული, სანდო ადამიანის ხელით, შესანახად თუ რაიმეში გამოსაყენებლად (გამოქვეყნებაზე მაშინ, ცხადია, ფიქრიც არ შეიძლებოდა), გაუგზავნა იმხანად ავჭალის კოლონიაში მყოფ თავის მეგობარ, აწ გარდაცვლილ გამოჩენილ დრამატურგსა და პუბლიცისტს კიტა ბუაჩიძეს. ბატონ კიტას ისეთ ძნელად მოსაკვლევ ადგილას, საიმედოდ შეენახა ხელნაწერი, რომ შემდგომში მისი არსებობაც გადაავიწყდა. რვეულები თითქმის ნახევარ საუკუნეს ინახებოდა მასთან. 1997 წელს, როდესაც იგი თავის არქივს აწესრიგებდა (მამაჩემი ამ დროისათვის ათი წლის გარდაცვლილი იყო), ცელოფანში შეხვეული ხელნაწერი ეპოვნა და მე გადმომცა — ეს ამბები დავითის ჩაწერილია, წაიკითხე და მიხედეო. ადვილი წარმოსადგენია ჩემი გაოცება და სიხარული, ამ რვეულების კითხვისას რომ განვიცადე. უმალვე მივხვდი, მისი გამოქვეყნება აუცილებელი იყო, რათა უსამართლოდ ნატანჯი საამაყო მამულიშვილის ცხოვრების ფურცლებს ჩვენი საზოგადოება გასცნობოდა. საბჭოთა ხელისუფლება, ეტყობა, გვანჯი ჩიქოვანის არსებობას ვერ ეგუებოდა. ოციანი წლებიდან მოყოლებული, პროვოკატორების დაბეზღების კვალობაზე, დროდადრო აპატიმრებდნენ. თუ როგორი ზნესრული, ქრისტიანული მრწამსით გამსჭვალული ადამიანი გახლდათ იგი იქედანაც ჩანს, რომ მოგვიანებით ერთ-ერთი თავისი დამბეზღებლის პანაშვიდზე მივიდა და ჭირისუფლებს თანაგრძნობა გამოუცხადა.**

**გვანჯი ჩიქოვანის ცხოვრებაზე მცირე ნარკვევი და ძალზე საინტერესო მასალები გამოაქვეყნა (ქუთაისი, 1997 წელი) მისმა სიძემ, შვილიშვილის მეუღლემ, შესანიშნავმა ადამიანმა და მოქალაქემ ვლადიმერ ჭანტურიამ, მაგრამ ეს წიგნი, როგორც იტყვიან, ფართო მკითხველისთვის ხელმიუწვდომელია. თვით ბატონი ვლადიმერისთვის ორთაჭალის კოლონიაში ჩაწერილი მოგონებების არაერთი ეპიზოდი უცნობი აღმოჩნდა და წინამდებარე ხელნაწერის დაბეჭდვა მას საშურ საქმედ მიაჩნია.**

**აქვე უნდა აღინიშნოს — აფხაზეთი გვანჯი ჩიქოვანის დედულეთი იყო და მისი ნაამბობიდან თვალნათლივ ჩანს ამ ზღაპრული კუთხის ისტორიული ქართულობა. დედასამშობლოდან აფხაზეთის მოწყვეტას ქართველი კაცი ვერასოდეს შეურიგდება და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რაც შეიძლება, მალე უნდა მოხდეს.**

**გვანჯი ჩიქოვანის ახლობლებისგან, მისი მნახველებისგან მსმენია — გაცნობისას ეს დევკაცი (მისი სიმაღლე ორ მეტრს აღემატებოდა) უთუოდ გეტყოდათ: ქართველი ჩიქოვანი სამეგრელოდან. თავისი ბრწყინვალე გვარის წარმომავლობასა და დამსახურებაზე სიტყვას არ დასძრავდა, ამას თვით მისი გარეგნობა, მოქცევა და სიტყვა-პასუხი მიგახვედრებდათ.**

**მამაჩემის მიერ ჩაწერილ მოგონებებს, ჩემს მოზრდილ ნარკვევთან ერთად, მთლიანად გამოაქვეყნებს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის ორგანო „ლიტერატურული მატიანე“. ნარკვევზე მუშაობის დროს ბევრი სასარგებლო რჩევა მომცა და ზუსტი ცნობები, აგრეთვე, უნიკალური ფოტო-მასალა მომაწოდა აბაშის რაიონის მთავარმა ექიმმა, ჩვენი ახლო წარსულის საუკეთესო მცოდნემ, საქართველოს ახლანდელი პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, სამაგალითო ინტელიგენტმა, ბატონმა პაატა ქურდოვანიძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ.**

**ემზარ კვიტაიშვილი.**

### წინათქმა

ჩემი ცხოვრების მეშვიდე ათეულში გადავდექი. მთელი ამ ხნის მანძილზე ვცდილობდი, მხოლოდ სიკეთე და მეგობრობა დამეთესა. ბავშვობიდანვე თანდაყოლილი ბუნება, ხასიათი და ოჯახში შეთვისებული ტრადიციები მიკარნახებდა, ჩემს აღმზრდელ საზოგადოებაში, მეგობრებში, ნათესავებში, ამხანაგებში, მეზობლებსა და ნაცნობებში, ყველგან, სადაც კი მიცხოვრია, მთელი ჩემი არსებით კაცთმოყვარეობა, მეგობრობა და სიყვარული ჩამენერგა. ყოველთვის ვცდილობდი, რომ მემუშავნა და მეცხოვრა არა მარტო ჩემი ოჯახისა და ჩემი პირადი სარგებელისთვის, არამედ იმ ქვეყნისა და იმ საზოგადოების ინტერესებისათვის, სადაც დავიბადე, აღვიზარდე და ვსუნთქავდი მშობლიურ ჰაერს.

ამჟამად გადავწყვიტე, მოკლედ აღვწერო მთავარი მომენტები, ავტობიოგრაფიული შემთხვევები, რაც თავს გადამხდომია ჩემი ცხოვრების მანძილზე და გადავცე შვილებს, ვინაიდან ბუნებას, წუთისოფელს თავისი კანონები აქვს — განგებამ შეიძლება არ მომცეს იმის საშუალება, შვილებს ზეპირად მოვუთხრო ჩემი თავგადასავალი, ვინაიდან მათგან დროებით დაშორებული ვარ და არ ვიცი, მოვესწრები თუ არა შინ დაბრუნებას. თუკი ჯანმრთელობამ არ მიღალატა, დიდად ბედნიერად ჩავთვლი თავს, რათა ჩემს შვილებსა და მეგობრებს ცოცხალმა უშუალოდ ვუამბო ყოველივე, რაც თავს გადამხდა ჩემი ცხოვრების საკმაოდ ხანგრძლივ გზაზე.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ცხოვრების მოკლე აღწერილობით არ ვისახავ არავითარ სხვა მიზანს, გარდა იმისა, რომ ის დავუტოვო ჩემს შვილებსა და ახლო ნათესავ-მეგობრებს, რათა მათ მომიგონონ, როგორც მშობელი და როგორც მეგობარი. შევეცადე, წინამდებარე რვეულში მოკლედ ყოფილიყო აღწერილი ჩემი ცხოვრების მთავარი და ღირსშესანიშნავი, ყველაფერი აღვადგინე მხოლოდ მეხსიერების მეშვეობით. უეჭველია, გამომრჩა მრავალი ისეთი შემთხვევა, რაც არ იქნებოდა ინტერესს მოკლებული, მაგრამ თუ მაღირსებს იმ ბედნიერებას, რომ დავბრუნდე ჩემს საყვარელ შვილებთან და მეგობარ-ნათესავებთან, მაშინ შევძლებ, აღვადგინო კიდევ ბევრი საინტერესო რამ, რასაც ყოველთვის ხალისით წაიკითხავენ ჩემი შვილები, შვილიშვილები და ნათესავ-მეგობრები.

**გვანჯი ჩიქოვანი,**
**1948 წელი.**


გვანჯი ჩიქოვანი ბიძასთან გიდი ემხვართან ერთად.

### ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ხანა

დავიბადე 1881 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ჭკადუაში. მამაჩემი — ალექსი ლევანის ძე ჩიქოვანი — წარმოშობით თავადის წოდებისა იყო, მაგრამ მეტად მცირე მამული ჰქონდა და ოჯახს საკუთარი შრომით ინახავდა. ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ სოფელ ზუმში. პაპაჩემი — ქაიხოსრო ჩიქოვანი — ყოფილა სახელოვანი და ამაყი ვაჟკაცი, თავისი დროის შესაფერისად მწიგნობარი და კულტურულად აღზრდილი. პაპაჩემს არ მოსწონდა ბატონყმური უსამართლობა და თავის სიცოცხლეში მუდამ ებრძოდა მის თანამედროვე ლევან დადიანს, რომელიც ჩაგრავდა ყმა გლეხობას და ამავე დროს გარყვნილ, აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. ამ დაპირისპირების გამო ლევან დადიანი მას მტრულად ექცეოდა და უმცირებდა მამულს, რის შედეგადაც მამაჩემმა მემკვიდრეობით მცირე საკარმიდამო მიიღო.

ზეპირი გადმოცემით მამაჩემისა და სხვებისგანაც მსმენია, რომ ერთხელ სენაკის მაზრის სოფელ გორდიდან თავის სასახლეში ყოფნის შემდეგ ამალით ბრუნდებოდა დავით დადიანი, იმ ლევან დადიანის შვილი, რომელიც გლეხობასთან და პაპაჩემთანაც მტრულად იყო განწყობილი. მთავარი დავით დადიანი დასასვენებლად სოფელ ზუმში შეჩერებულა ერთ წყაროსთან. შემთხვევით იმ წყაროსთან ცხენით გაუვლია ბაბუაჩემს, ლევან ქაიხოსროს ძე ჩიქოვანს. ტრადიციის თანახმად, როცა მთავარი შეხვდებოდა, მგზავრი, თავადი იქნებოდა ის თუ აზნაური, ცხენიდან უნდა ჩამომხტარიყო და ისე მისალმებოდა მთავარს. ბაბუაჩემს, ლევანს, დაურღვევია ეს ძველი ეტიკეტი — ცხენზე მჯდომს მთავრისთვის ამაყად მიუცია სალამი და განუგრძია თავისი გზა. გაკვირვებულ დავით დადიანს უკითხავს, ეს ყმაწვილი ვინ არისო. მხლებლებმა უპასუხეს, რომ ის იყო ლევან ქაიხოსროს ძე ჩიქოვანი. მაშინ მთავარს, დავით დადიანს, უთქვამს — ღირსეული შვილი დარჩენია ქაიხოსრო ჩიქოვანს, მხოლოდ მამაჩემის, ლევან დადიანის, დათესილმა საქმეებმა დღეს მე პატივდება დამაკლოო.

**(გაგრძელება იქნება).**

◉ პიროვნება

# „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“...

**საქართველოს ისტორიის საამაყო ფურცლები იმ ადამიანების ხელით იწერება, რომლებიც ღირსეული, პატიოსანი და თავდაუზოგავი შრომით, ხშირად სრულიად უხმაუროდ, ემსახურებიან ქვეყანას. ადამიანის ღვაწლზე საქმე მართლაც თავად ამბობს სათქმელს და სიტყვები სრულიად ზედმეტია, თუმცა ამ მოკრძალებული წერილისათვის არსებობს სასიამოვნო მიზეზი და ეს ბატონი ბესარიონ ზოიძის დღევანდელი დაბადების დღეა.**

დაიბადა 1953 წლის 27 ივნისს, შუახევის რაიონის სოფელ დაბაძველში. დაამთავრა ვაიოს საშუალო სკოლა, შემდეგ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1980 წლიდან იგი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია, 1992 წლიდან კი — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მას წილად ხვდა სულმნათი პროფესორის სერგო ჯორბენაძის მოწაფეობისა და მასთან ერთად ქართული სამოქალაქო კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობის ბედნიერება. 1996 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს. 1999 წლიდან ინიშნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ, ხოლო 2001 წლიდან ირჩევენ სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ, პირველი კოლეგიის თავმჯდომარედ.



ბატონი ბესარიონი 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ. იგი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის ექვსტომეულის თანაავტორი, აქვს საუცხოო გამოკვლევები სანივთო სამართალში, ძველ ქართულ მემკვიდრეობით სამართალში, ვალდებულებითსა და სამეწარმეო სამართალში. მჭიდროდ თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, არის მაქს-პლანკის კერძო სამართლის ინსტიტუტის მეგობართა საზოგადოების წევრი.

ქართული სამართლებრივი აზროვნების ისტორიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა არის მხოლოდ ნაწილი იმ უზარმაზარი სამეცნიერო მარაგისა, რომელსაც პროფესორი ბესარიონ ზოიძე უხვად და უშურველად გადასცემს თაობებს, თითქმის 25-წლიანი პროფესიული სწავლების პროცესში. მისი ნაშრომების კითხვისას აშკარაა, რომ მათი ავტორი არამარტო ქართული იურიდიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია, არამედ არის ადამიანი, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი პროფესია და იმავდროულად ზედმიწევნით ესმის ქართული სიტყვიერების სიდიადე, იურიდიული მეცნიერების განვითარების მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის.

თუმცა, ამ ყველაფრის მიღმა დგას ადამიანი, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი სამშობლო და ღრმად განიცდის მის გასაჭირს. თავად აჭარელი, იგი საოცრად განიცდიდა აჭარის მოვლენებსაც. „ერთიანი და განუყოფელი ქართული სახელმწიფოს განცდა გადაგვარჩენს“, — წერდა ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც აჭარის მოვლენებს მიუძღვნა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა. ამ განცდამ, მართლაც, გადაგვარჩინა.

და კიდევ, რაც არანაკლებ თვალშისაცემია, ეს არის მისი განუმეორებელი პიროვნული ხიბლი და ადამიანური სითბო, რომელიც თავის თავზე გამოუცდია ყველას, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება ამ არაჩვეულებრივ ადამიანთან.

როდესაც წერილის წერას მოვრჩით, მივხვდით, რომ უამრავი რამ დაგვრჩა უთქმელი, თუმცა ჩვენი მიზანი არ იყო ბატონ ბესარიონ ზოიძის დამსახურებასა და ღვაწლზე საუბარი. მთავარი სათქმელი ის არის, რომ ჩვენთვის ბატონი ბესო ყოველთვის არის შრომისმოყვარეობის, პატიოსნების, პრინციპულობისა და სამართლიანობის ის მაგალითი, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ვცდილობთ, მივბაძოთ.

**ლალი ლაზარაშვილი,**
**ეკა ზარნაძე,**
**თამარ ზარანდია.**
**იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 147, კვირა, 27 ივნისი, 2004 წელი.

# მხარეებმა მორიგებას ვერ მიაღწიეს

**პეკინში მიმდინარე მოლაპარაკების უკანასკნელი — მეოთხე დღე დასრულდა ისე, რომ მხარეებმა ვერ შეძლეს დაეღწიათ თავი ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილი ჩიხური სიტუაციიდან.**

ვაშინგტონის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ექვსმხრივი მოლაპარაკების დროს, რომელშიც შეერთებული შტატების გარდა მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის, იაპონიის, რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენლები, პრაქტიკულად ვერ მოხერხდა რაიმე საგრძნობი პროგრესის მიღწევა.

მაგრამ მოლაპარაკების მონაწილე ყველა მხარე, პრინციპში, დათანხმდა იმას, რომ სექტემბერში გამართონ კიდევ ერთი რაუნდი.

პარასკევს გაკეთდა ოფიციალური განცხადება, რომ ფხენიანმა შესაძლოა განახორციელოს ბირთვული გამოცდა იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ კორეა ვერ მიიღებს იმ მოცულობის დახმარებას, რომელსაც იგი მოითხოვს.

როგორც ცნობილია, მოლაპარაკების წინა ორი რაუნდიც ასევე უშედეგოდ დასრულდა.

„პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, თითქოს რაიმე წარმატებას მივაღწიეთ“, — აღნიშნეს მოლაპარაკების მონაწილე ამერიკელებმა და დასძინეს, რომ მოლაპარაკების ვერც ამ რაუნდზე ვერ მიაღწიეს მხარეებმა „საგრძნობ პროგრესს“.

ჩინეთმა აღარ გამართა მოლაპარაკების დახურვისადმი მიძღვნილი ცერემონია, რაც, ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, შესაძლოა მივიჩნიოთ იმის ნიშნად, რომ მხარეებს შორის შეიქმნა დაძაბული ურთიერთობა. თუმცა, მოელიან, რომ მოგვიანებით გაკეთდება ოფიციალური განცხადება მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვულმა გამოცდამ, შესაძლოა კიდევ უფრო გაამწვავოს რეგიონში არსებული დაძაბულობა და აიძულოს ფხენიანის მეზობლები ჩაებან გამალებული ბირთვული შეიარაღების პროცესში.



გაფრთხილება შესაძლო გამოცდის განხორციელების შესახებ გაისმა ამერიკელთა წარმომადგენლის ჯეიმს კელისა და მისი ჩრდილოკორეელი ვიზავის კიმ გე კვანის პირისპირ გამართული შეხვედრის დროს.

როგორც ამერიკელთა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა, ასეთი მუქარა წინათაც არაერთგზის გამოუთქვამს ჩრდილოეთ კორეის მხარეს.

მაგრამ ფხენიანი თუ განახორციელებს ბირთვულ გამოცდას ახლა, როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, ეს გაართულებს ვითარებას კორეის ნახევარკუნძულზე და აიძულებს რეგიონის ქვეყნებს ჩაებან გამალებულ შეიარაღებაში.

თუმცა, სეულის წარგზავნილმა აღნიშნა, რომ ფხენიანის ასეთ გაფრთხილებას ვერ ვუწოდებთ „უშუალო მუქარას“.

როგორც იტყობინებიან, ჩრდილოეთ კორეა მოითხოვს, რომ მას მიაწოდონ ორი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია იონბენის ბირთვული რეაქტორის მუშაობის გაყინვის სანაცვლოდ. უკვე ამჟამად მოქმედი შეთანხმების მიხედვით, შეერთებული შტატები კისრულობს სწორედ ასეთი რაოდენობის ელექტროენერგიის მიწოდებას ჩრდილოეთ კორეისათვის.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ ფაქტსაც, რომ მოლაპარაკების წინა რაუნდიდან გასული დროის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვნად შეცვალა თავისი პოზიცია.

ვაშინგტონი წინათ აცხადებდა, რომ არ აპირებდა ჩრდილოეთ კორეის წახალისებას მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, მაგრამ ახლა ეს პოზიცია შეიცვალა რეგიონის სხვა ქვეყნების, კერძოდ, ჩინეთისა და სამხრეთ კორეის ზემოქმედების შედეგად.

შეერთებული შტატები აპირებს გაგზავნოს ჩრდილოეთ კორეაში ათი ათასობით ტონა ნავთობი იმის სანაცვლოდ, რომ ჩრდილოკორეელთა ლიდერი კიმ ჩენ ირი აიღებს ხელს ურანისა და პლუტონიუმის გამდიდრების პროგრამების განხორციელებაზე.

ფხენიანმა ეს სამი თვის განმავლობაში უნდა გააკეთოს; სათბობის მიწოდების პროცესის გაგრძელება დამოკიდებული იქნება ფხენიანის მიერ თავისი დაპირების შესრულებაზე, რისთვისაც ჩრდილოეთ კორეაში, შესაძლოა, გაგზავნონ საერთაშორისო ინსპექტორები.

ექსპერტთა აზრით, ამერიკელების ასეთი წინადადება ისახავს ორ მიზანს: შეამოწმოს, თუ რამდენად სერიოზულად აპირებს ჩრდილოეთ კორეა გამონახოს გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან მოლაპარაკების გზით, აგრეთვე, უჩვენოს ფხენიანის მეზობლებს, რომ ვაშინგტონი მზად არის გადადგას კიდევ უფრო მოქნილი ნაბიჯები.

იაპონიამ, თავის მხრივ, დაუჭირა მხარი შეერთებული შტატების წინადადებას და მოუწოდა ჩრდილოეთ კორეას, უჩვენოს მთელ მსოფლიოს, მართლაც სურს თუ არა მას თავისი ბირთვული პროგრამის შეწყვეტა.

თუმცა, ფხენიანს ჯერჯერობით ამ წინადადებაზე რაიმე ოფიციალური პასუხი არ გაუცია.

## მოკლედ

**ერაყის იუსტიციის მინისტრმა მოითხოვა სადამ ჰუსეინისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა. როგორც მალიქ დუჰანმა თქვა, ერაყის სასამართლო მზად არის დაიწყოს პროცესი. შეკრებილია საკმარისი რაოდენობის მასალები საიმისოდ, რომ წაუყენონ ბრალდება ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს. მთელი რიგი ამ ბრალდებების მიხედვით, სამხედრო დროის კანონების თანახმად, გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა.**

* * *

**ანტალიაში ბომბის აფეთქების შედეგად ოთხი კაცი დაიჭრა. როგორც თურქეთის ტელევიზია იტყობინებოდა, ასაფეთქებელი მოწყობილობა ხელში ეჭირა ტერორისტს და იგი დროზე ადრე ამოქმედდა. თურქეთში ამჟამად ხორციელდება უშიშროების უზრუნველყოფის უპრეცედენტო ღონისძიებები, რაც უკავშირდება შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტს ანკარაში.**

* * *

**ავღანეთში აფეთქდა ავტობუსი, რომლითაც საარჩევნო კომისიის თანამშრომლები გადაჰყავდათ. აფეთქების შედეგად დაიღუპა ორი და დაიჭრა 17 ადამიანი. წინასწარი მონაცემებით, ავტობუსს საარჩევნო კომისიის წევრები ჯელალაბადის აღმოსავლეთ ნაწილში, როდასის ოლქში მიჰყავდა. როგორც ცნობილია, ავღანეთში მიმდინარე წლის სექტემბრისთვის არის დანიშნული არჩევნები.**

* * *

**პენტაგონი აცხადებს, რომ ერაყის ქალაქ ფალუჯაში დაჭრეს „ალქაიდას“ ერთ-ერთი აქტივისტი აბუ მუსაბ აზ-ზარქავი. სახლიდან, რომელშიც სავარაუდოდ იმყოფებოდა ალ-ზარქავი, საკაცით გამოიყვანეს მძიმედ დაჭრილი ადამიანი, რომელსაც გარს ეხვივნენ კარგად შეიარაღებული მცველები, — აცხადებენ ამერიკელი მფრინავები, რომლებმაც დაბომბეს ეს შენობა.**

# ბუში ევროკავშირში ეძებს მხარდაჭერას

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა შაბათს დუბლინში ევროპის კავშირის ლიდერებთან შეხვედრაზე განიხილა ერაყის მომავალი.**

შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ურთიერთობა გართულდა ერაყის ომისა და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის თაობაზე უთანხმოების გამო.



დუბლინის სამიტმა კიდევ ერთხელ უნდა გაუსვას ხაზი, ტრანსატლანტიკურ ერთობას, რომელსაც ვერანაირ ზიანს ვერ მიაყენებს უთანხმოება ამ ორი პრობლემის თაობაზე.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის უშიშროებას ირლანდიაში უზრუნველყოფს ათასობით ადგილობრივი პოლიციელი და ჯარისკაცი, ოთხი სამხედრო ხომალდი, აგრეთვე, დუბლინში სპეციალურად ჩასული ამერიკის საიდუმლო სამსახურის 700 თანამშრომელი.

დუბლინის შენონის აეროპორტში შეკრებილ რამდენიმე ათას პაციფისტს მისცეს შესაძლებლობა, გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება ჯორჯ ბუშისადმი, თუმცა, მათ წინ აღმართული იყო პოლიციელთა მძლავრი კორდონი.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის დუბლინში ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ირლანდიის პოლიციამ დააკავა ოთხი დემონსტრანტი, რომლებმაც მდინარე შენონიდან ნავით შეძლეს შეღწევა აეროპორტის ირგვლივ დახურულ ზონაში.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჯორჯ ბუში დუბლინიდან სტამბოლს გაემგზავრება, სადაც უნდა გაიმართოს ნატოს სამიტი.

თეთრი სახლის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისმა პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ დუბლინის მოლაპარაკების მთავარი თემა არის „ბრძოლა ტერორიზმის, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ, აგრეთვე, ღია და თავისუფალი ვაჭრობის მეშვეობით პროგრესისა და აყვავების მიღწევა“.

როგორც რაისმა აღნიშნა, ჯორჯ ბუში განსაკუთრებული ინტერესით მოელის ვიზიტის დაწყებას თურქეთში, რომელმაც უნდა განამტკიცოს ამერიკელების სტრატეგიული პარტნიორობა ისლამური სამყაროს წამყვან საერო დემოკრატიასთან“.

სტამბოლის სამიტზე, კერძოდ, განიხილავენ ნატოს სამშვიდობო მისიას ავღანეთში, დასძინა კონდოლიზა რაისმა.

ეცდება თუ არა პრეზიდენტი მიაღწიოს იმას, რომ ნატომ მიიღოს მონაწილეობა ერაყის ოპერაციაში — ამ კითხვაზე პასუხისას თეთრი სახლის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში განაცხადა: ნატოს წევრმა 16 ქვეყანამ ინდივიდუალური წესით უკვე გაგზავნა თავისი საჯარისო კონტინგენტები ერაყში.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ის სირთულეები, რომლებსაც ამერიკელები გადააწყდნენ ერაყში, აიძულებს თეთრ სახლს ეძებოს ახალ-ახალი მოკავშირეები.

უნდა აღინიშნოს, რომ ივნისის დაწყებიდან ჯორჯ ბუში უკვე მეორედ ხვდება ევროპის ქვეყნების ლიდერებს. როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრა გაიმართა ნორმანდიაში, ლა-მანშზე დესანტის გადასხმის 60 წლისთავის აღნიშვნის დღეს.

# გაეროს სამართალდამცავებს ციხეში მოხვედრა სურთ

**გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ექსპერტების 31-კაციანმა ჯგუფმა გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომლითაც მოითხოვდა, რომ მიეცათ თავისუფლად შეღწევის უფლება ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლსდაქვემდებარებულ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში — ერაყის, ავღანეთის საპყრობილეებსა და გუანტანამოს ბაზაში.**



ექსპერტებმა გამოთქვეს გულისტკივილი იმის გამო, რომ მათი აზრით, ადამიანის უფლებები ეწირება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანების შესრულებას.

ამ დემარშისათვის უშუალო საბაბი გახდა სკანდალი, რომელიც აგორდა ბაღდადის „აბუ გრეიბის“ ციხეში პატიმრების მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო.

როგორც დოკუმენტის ავტორები აღნიშნავენ, ამ განცხადების მიღებას წინ უძღოდა „მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც უკავშირდებოდა გარკვეულ ადგილებში პატიმრების სამართლებრივ სტატუსს, საპყრობილეებში მათი ყოფნის პირობებსა და პატიმართა მიმართ მოპყრობის წესების დარღვევას, რამაც მთელი მსოფლიო გაერთიანების აღშფოთება გამოიწვია“.

გაეროს ექსპერტებმა გამოთქვეს სურვილი, რაც შეიძლება სწრაფად მოინახულონ ზემოაღნიშნული ადგილები, რათა დარწმუნდნენ, რომ „იქ ადამიანის უფლებები სათანადოდაა დაცული“.

კერძოდ, მას სურს გაეცნონ პატიმრების ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, შეამოწმონ, თუ რამდენად კანონიერია მათი დატუსაღება და როგორია საპყრობილეებში ამ პირთა ყოფნის პირობები, აგრეთვე, სურთ დარწმუნდნენ, რომ გამომძიება და მოსამართლეები არ განიცდიან ზემოქმედებას სამხედრო ხელისუფალთა მხრიდან.

თუმცა, ფრიად საეჭვოა, რომ სამართალქომაგებმა მიაღწიონ სასურველ მიზანს. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ დააკმაყოფილა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის წარმომადგენლობის მეთაურის მოთხოვნა, რომელიც აპირებდა გუანტანამოს ბაზის დათვალიერებას.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**ზაზა ბეჟანიძემ.**

# სპორტი

ევრო – 2004

## ბერძნული რენესანსი

**საფრანგეთის ნაკრების მცდელობა, შეენარჩუნებინათ კონტინენტის ჩემპიონობა, კრახით დასრულდა – ზაგორაკისის ფლანგურმა გარღვევამ და ხარისტეასის ზუსტმა თაურმა ბერძნები პირველად გაიყვანა ევროპული ფორუმის ნახევარფინალში – 1:0, სადაც ისინი ჩეხეთ-დანიის ხვალინდელი დუელის გამარჯვებულს შეხვდებიან.**

ტრავმირებული სანიოლის, დესაისა და ვიეირას არყოფნა „სამფეროვნებს" გამამართლებელ საბუთად არ გამოადგებათ – გუნდი, რომელსაც ზიდანი, პირესი, ანრი, ტრეზეგე, მაკელელე და ლიზარაზუ ამშვენებენ, ვალდებულია, თუ ვერ დაამარცხებს, ელადელებისნაირ მეტოქეებთან ღირსეული თამაში მაინც აჩვენოს. ვინ უნდა დაწეროს მატჩის სცენარი? – რა თქმა უნდა, მწვრთნელმა. მერედა, შეუძლია კი ეს ჟაკ სანტინის – იბადება კითხვა. ქვეჯგუფში გამართული შეხვედრების სიუჟეტი, ძალაუნებურად, უარყოფით პასუხს გვკარნახობს: ზღაპრული მოგება ინგლისთან, მსაჯის ნაწყალობევი ქულა ხორვატებთან და ბოლო წუთებზე დაძლეული არაფრით გამორჩეულ შვეიცარიელთა წინააღმდეგობა აქტივში მხოლოდ ვარსკვლავებს (განსაკუთრებით, ზიდანს) თუ ჩაეწერება და არა როჟე ლემერის მემკვიდრეს, რომელიც ახალი სეზონიდან უკვე ლონდონის „ტოტენჰემს" უთავკაცებს.

რაც შეეხება მის კოლეგას ოტო რეჰაგელს, გერმანელები, ალბათ, ნანობენ, იგი ბუნდესნაკრებში რომ არ მიიწვიეს. დაგვეთანხმებით, არც ახლაა გვიან, თუმცა ისინი საკუთარ პრობლემას თვითონვე მიხედავენ – ჩვენ ჩვენი გასაჭირი ვიდარდოთ – ბერძნები ხომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებთან ერთად ერთ ჯგუფში მოხვდნენ.

**გია პლატონიშვილი.**





ყოველი მხრიდან

## რუსებმა თავი მაინც გამოიჩინეს

**სტატისტიკის მოყვარულებს საქმეს რა გამოულევს, მით უმეტეს ახლა, ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატზე. ყველაფერს ითვლიან და იმახსოვრებენ. აი, ზოგიერთი ციფრი და ფაქტი ჯგუფებში გამართული ასპარეზობების შედეგების მიხედვით:**




– **ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე უხეშ გუნდებად** თავი „გამოიჩინეს" პორტუგალიისა და ლატვიის ნაკრებებმა. თითოეული მათგანის ანგარიშზეა 62 ჯარიმა. ამ „ნადირების" სიაში მესამე ადგილზე შვეიცარიელები არიან – 61 ჯარიმა, მეოთხეზე კი – რუსები – 60.

– პორტუგალიის ნაკრები სათავეში უდგას **დაკარგული ბურთების** მიხედვით შედგენილ სიასაც – ლუის ფილიპე სკოლარის შეგირდები პასის დროს 162-ჯერ შეცდნენ. შემდეგ მოდიან ესპანელები (149) და ფრანგები (109).

– **ყვითელი და წითელი ბარათების** მიხედვით აქ პირველობა არავის დაუთმეს რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებმა – პორტუგალიაში გამართულ 3 მატჩში მათ 15 „მდგოვის საფენი" დაიმსახურეს, შემდეგ მას ბულგარელებიც წამოეწივნენ. 2-2 წითელი ბარათით კი რუსები და შვეიცარიელები „ლიდერობენ".

– სხვათა შორის, გიორგი იარცევის შეგირდებს ერთი „დადებითი" შედეგიც აქვთ – მათ თავი ისახელეს **მეტოქისათვის ბურთის წართმევაში**, რაც 165-ჯერ მოახერხეს. აქ მეორე ადგილზეა საბერძნეთის ნაკრები.

– **ჯგუფურ ეტაპზე კარისაკენ** ყველაზე ხშირად ჩეხები ურტყამდნენ – 58. ორით ნაკლები „გასროლა" აქვთ იტალიელებსა და ჰოლანდიელებს. ლატვიის ნაკრები კი „მთელი ჩემპიონატის დროს მხოლოდ 6-ჯერ დაემუქრა მეტოქეთა კარს.

– თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ **ბურთს კარში** ყველაზე ხშირად აგზავნიდნენ ინგლისელები – 64 პროცენტი, მათ ოდნავ ჩამორჩებოდნენ ჰოლანდიელები (57 პროცენტი) და ხორვატები (57 პროცენტი):

– **გატანილი გოლებით** კი ყველას აჯობეს შვედებმა და ინგლისელებმა. მათ – 8-8 ბურთი მოათავსეს მეტოქეთა კარში.

შეგახსენებთ, რომ ყოველივე ეს მოხდა ჯგუფურ ეტაპზე. ბუნებრივია, სტატისტიკოსები არც „მთავარ" მატჩებს დატოვებენ უყურადღებოდ და კვლავაც ბევრ მნიშვნელოვან ციფრსა თუ ფაქტს მოგვაწვდიან.

## რა კოქტეილს სვამდა რეკორდსმენი?

**მსოფლიო რეკორდსმენი 100 მეტრზე სირბილში, ამერიკელი ტიმ მონტგომერი ოფიციალურად დაადანაშაულეს დოპინგის გამოყენებაში. ეს ნათქვამია აშშ დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს (USADA) წერილში. გაზეთის** Los angeles Times **გადმოცემით, სააგენტო აცხადებს, რომ სპრინტერი იყენებდა „აკრძალული ნივთიერებების კოქტეილს, რომელშიც შედიოდა სტეროიდების ხუთი სახეობა – ЭПО, ზრდის ჰორმონები და ინსულინი".**

სახელოვან მორბენალს რეალურად შეექმნა ოლიმპიურ თამაშებზე არმოხვედრის საშიშროება. მართალია, მონტგომერის ადვოკატები ჩივილს აპირებენ, მაგრამ შეძლებენ კი თამაშების დაწყებამდე თავიანთი კლიენტის უდანაშაულობის დამტკიცებას?

იმ შემთხვევაში, თუ 29 წლის სპორტსმენს სარბენ ბილიკებზე არ გაუშვებენ, მაშინ ის გახდება მსოფლიოში ყველაზე ტიტულოვანი დისკვალიფიცირებული მძლეოსანი კანადელი ბენ ჯონსონის შემდეგ, რომელსაც სტეროიდების გამოყენებისათვის 1988 წელს ჩამოართვეს ოლიმპიური „ოქრო" და დიდ სპორტსაც ჩამოაშორეს.



## ასეთი მხარ(თუ ტან) დაჭერის მიუხედავად

**ალბათ, გახსოვთ, რათა გაემხნევებინათ რუსეთის ნაკრებში მოთამაშე თავიანთი მეუღლეები, ფეხბურთელების ცოლებმა არ დაიზარეს და ფოტოობიექტივის წინ გაშიშვლდნენ, უხერხული ადგილების დასაფარად კი წინ თავიანთი ქმრების სურათები აიფარეს. თუ როგორ წაადგა რუსეთის ნაკრებს ლამაზმანების ასეთი „გამხნევება", ყველას კარგად მოეხსენება.**

ინგლისელები უფრო შორს წავიდნენ – ძირითადი შემადგენლობის რომელიმე მოთამაშე გულნაკლული არ დაგვრჩესო და ულამაზესი სქესის 11 წარმომადგენელი გააშიშვლეს, მაგრამ ფეხბურთელთა ცოლები კი არა, გამორჩეული მოდელები (მარცხნიდან – ჩარლი, მელანი, სოფი, შარლოტა, ფრანჩესკა, რატი, ნიკოლა, სიმონე, ჰეილი, ლენა და ლია).

ფეხბურთის სამშობლოში რუსეთელების მწარე გამოცდილება რომ გაეთვალისწინებინათ, შეიძლება, ასეთ „სიურპრიზს" შეშვებოდნენ. არადა, მათი ლოზუნგი „გამარჯვება ან ბიუსტი, ბიჭებო!", რაც თითქოს იმას უნდა ნიშნავდეს – ოღონდ გაიმარჯვეთ და ჩვენი თავი და ტანი ფეშქაშო! – ბოლომდე ვერ წაადგათ ნისლიანი ალბიონის წარგზავნილთ ევროპის ჩემპიონატზე მასპინძლებთან ორთაბრძოლაში.




ფეხბურთი

## სლავა მეტრეველის გახსენება

**პარგა ხანია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტს ყოველწლიურ კალენდარში შეტანილი აქვს თბილისის „დინამოსა" და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების მარჯვენა გარემარბის, სპორტის დამსახურებული ოსტატის სლავა მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი.**



2004 წლის გათამაშებაში, რომელმაც შარშან შემოდგომაზე აიღო სტარტი, საწყის ეტაპზე საქართველოს ყველა რეგიონის 1988 წელს დაბადებული 98 გუნდი ჩაება. აქ შეირჩა 16 საუკეთესო გუნდი, რომლებმაც ბრძოლა გააგრძელეს ჩვენი სუპერვარსკვლავის გარდამავალი თასისთვის.

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ნორჩი დინამოელი" (პირველი) და ამავე საფეხბურთო სკოლის მეორე გუნდი. ასპარეზობის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა – 1:1. მატჩისშემდგომი პენალტები უფრო ზუსტად გამოიყენეს „ნორჩი დინამოელი" 2-ის ფეხბურთელებმა – 5:4, მეორე ნახევარფინალში „ნორჩი დინამოელის" კიდევ ერთმა კლუბმა დიდი ანგარიშით 4:0 მოუგეს „მთვარის გლობუსის" თანატოლებს.

სლავა მეტრეველის თასის ფინალური მატჩი „ნორჩი დინამოელის" ჭაბუკთა საფეხბურთო სკოლის ცენტრალურ სტადიონზე (დირექტორი – სპორტის დამსახურებული ოსტატი თამაზ კოსტავა) შეხვდა. ძირითადი დრო ფრედ – 1:1 დამთავრდა, მატჩისშემდგომი პენალტებით კი 5:4 პირველმა გუნდმა გაიმარჯვა, რომელსაც სლავა მეტრეველის გარდამავალი თასი გადაეცა.

**შალვა ქორიძე.**

მოკლედ

## იტალიელთა ახალი მწვრთნელი

**პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე ხელმოცარულ იტალიის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს.** ეს დიდად საპატიო და საპასუხისმგებლო პოსტი მიანდეს 56 წლის მარჩელო ლიპის. ამის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ.

## ტელევიზორი ვერ გაიყვეს

**ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე გერმანიისა და ჩეხეთის ნაკრებების მატჩის დროს ერთმა გერმანელმა ქალბატონმა სამზარეულო დანით დაჭრა თავისი ქმარი.** მიზეზი ძალზე მარტივიც და ურთულესიც იყო. ქმარს ფეხბურთის მატჩის ყურება უნდოდა, ცოლს – კინო-სერიალის. ვინაიდან კომპრომისზე არცერთი არ წავიდა, კაცი საავადმყოფოში აღმოჩნდა, ქალი კი – პოლიციის განყოფილებაში.

ადამიანი დროში

# „ბურჟუაზიული“ სპორტის პიონერი



**თხუთმეტი წელიწადია, ამერიკაში ცხოვრობს — ვაშინგტონიდან 15 მილით დაშორებულ ქალაქ ფეირფაქსში. თავისი მცირე ბიზნესით საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში ეხმარება ვირჯინიელებს. არც სამშობლოსთან გაუწყვეტია კავშირი — ხშირად სტუმრობს ახლობლებს. ამას წინათაც ორი კვირით იყო ჩამოსული თბილისში და ჩვენი შეხვედრაც მაშინ შედგა. გოგი ტონიაზე მოგახსენებთ, შესანიშნავ პიროვნებასა და სპორტსმენზე, რომელიც გასული საუკუნის სამოციან წლებში ქართული რაგბის სათავეებთან იდგა.**

— მოსკოვში ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობისას გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე — ჯული კრისტენსენი, — გვითხრა ბატონმა გოგიმ. — იგი საბჭოეთის მაშინდელ დედაქალაქში ამერიკელ სტუდენტთა პროგრამების დირექტორი გახლდათ. ჯვარი თბილისში — სამების ეკლესიაში დავიწერეთ. ჯული მართლმადიდებელი გახდა. როცა ჩვენთან ქვეყანა აირია, ოჯახთან ერთად ვირჯინიის შტატში გადავსახლდით.

**— და მას შემდეგ მხოლოდ ბიზნესით ხართ დაკავებული?**

— არა მხოლოდ ბიზნესით... ბავშვობის დიდ გატაცებას რა დამავიწყებს...

გოგი ტონია სკოლიდანვე ჩაება სპორტში. წრთობა მძლეოსნობით დაიწყო. 3 წელიწადი ქადეიშვილთან ივარჯიშა. საქალაქო პირველობებზე რამდენჯერმე საპრიზო ადგილებიც დაიკავა. კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ გული ფეხბურთისკენ მიუწევდა, რადგან მისი თანატოლები „ნორჩ დინამოელში“ თამაშობდნენ. 15 წლისას ოცნება აუხდა — გოგი ანთაძემ თავის სკოლაში ჩარიცხა.

— მეორე წელიწადს ბატონმა გრიშა გაგუამ „ნორჩი დინამოელის“ უფროს გუნდში გადამიყვანა, — იგონებს ბატონი გოგი, — იმავე გუნდში თამაშობდა ბათუმიდან ახლადჩამოსული ანზორ კავაზაშვილი. კარგი კოლექტივი გვყავდა. 1957 წელს თვრამეტწლიანთა საკავშირო პირველობაზე ოქროს მედლები მოვიპოვეთ.

**— ასეთი წარმატებული დებიუტის შემდეგ ფეხბურთს თავი რატომ დაანებეთ?**

— სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩავაბარე. სწავლამ გადამძალა. თუმცა, ფეხბურთისთვის თავი არ დამინებებია — ინსტიტუტის გუნდში ვთამაშობდი, უფრო გართობის მიზნით.

**— რაგბის სამყაროში როგორღა მოხვდით?**

— 1957 წელს ახალგაზრდა სპორტსმენთა მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე ფრანგებმა და რუმინელებმა საჩვენებელი მატჩი გამართეს რაგბიში. მას მერე დაიწყო ამ „ბურჟუაზიული“ სპორტის დანერგვა საბჭოთა კავშირში. ორი წლის შემდეგ პარიზიდან ჩამოვიდა ჟაკ ასპეკიანი, სწორედ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩამოაყალიბა მან პირველი მორაგბეთა გუნდი, რომელშიც ჩემთან ერთად თამაშობდნენ ნოდარ ყიფიანი, ორესტი დიმიტრიადი, გია ჩეჩელაშვილი, ზაურ მგელაძე, რეზო მესხი, პავლე საფაროვი, ალბერტ კრიხელი, დიტო ოსეფაიშვილი, თამაზ ცხაკაია, გივი ჯავახიშვილი, ჯემალ ბერაძე, ტარიელ ნებიერიძე, სიმონ ბილისაშვილი, თემურ მეზურნიშვილი და სხვები.

**— გამოდის, რომ პირველი გზისმკვალავი თქვენ ყოფილხართ?**

— არა მგონია, ინგლისელებს ფეხბურთთან ერთად რაგბიც არ ეთამაშათ ზღვისპირელ ქართველებთან. მით უმეტეს, რომ ლელო სწორედ გურიასა და სამეგრელოში ძალიან უყვარდათ. უბრალოდ, საბჭოთა კავშირში რაგბი აკრძალული იყო, კარგა ხანს ჩვენც „ბურჟუების გადმონაშთებს“ გვეძახდნენ.

გოგი ტონიამ ინსტიტუტის გუნდის შემადგენლობაში ზედიზედ სამჯერ მოიგო თბილისის პირველობა, 1963 წელს „განთიადთან“ ერთად პროფკავშირების არაოფიციალურ საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. 1964 წლიდან „ლოკომოტივში“ გადავიდა მოთამაშე მწვრთნელად და მისმა შეგირდებმა ზედიზედ სამჯერ რკინიგზელთა საკავშირო შეჯიბრებაზე აჯობეს ყველას. 1967 წელს პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.



— სამოციანი წლების მიწურულს ევროპული ელიტის წარმომადგენლებს — ფრანგ მორაგბეებს ვუმასპინძლეთ. თითო მატჩი გავმართეთ გურჯაანსა და თბილისში. სამწუხაროდ, ორივე წავაგეთ, შესაბამისად, 8:26, და 9:12. ამის მიუხედავად, ამ ორთაბრძოლებმა დიდი სამსახური გაგვიწია გამოცდილების მისაღებად და ოსტატობის დასახვეწად.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ასპირანტურაში სწავლისას მოსკოვის გუნდები გიწვევდნენ. უარი რატომ უთხარით?**

— უსამართლობით ბევრჯერ გაგვამწარეს და მათს ღირსებას როგორ დავიცავდი?!

**— ხომ არ თვლით, რომ აქტიურ სპორტს ნაადრევად ჩამოშორდით?**

— 1972 წელს თბილისში რომ დავბრუნდი, კვლავ „ლოკომოტივს“ ჩავუდექი სათავეში. ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბეთ. მოსკოვის სამხედრო-საჰაერო აკადემიის მორაგბეებს მათსავე მოედანზე მოვუგეთ და პირველი წრის შემდეგ 3 ქულით ვუსწრებდით უახლოეს მდევარს. მეორე წრის განახლებამდე, საკავშირო პროფკავშირების ინიციატივით, მონინოში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ზედიზედ ვძლიეთ პოლონელებსა და ჩეხებს. მოსკოველებსაც ვუგებდით, მაგრამ უმიზეზოდ ჩხუბი აგვიტეხეს. ჩვენმა ბიჭებმა გემოზე სცემეს მასპინძლები. მსაჯებმა ხუთი მოთამაშე გაგვიძევეს და მატჩი წაგვაგებინეს. სტუმრებმა — ჩეხებმა და პოლონელებმა ცოცხალი დერეფანი ჩვენ მოგვიწყვეს, როგორც ტურნირის გამარჯვებულებს, რომლებსაც ძალით წაგვართვეს პირველი ადგილი. ჩვენს ხუთივე მორაგბეს საკავშირო ფედერაციამ წლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მისცა. ამის მიუხედავად, ჩემპიონატზე მე-3 ადგილი დავიკავეთ და ბრინჯაოს მედლებიც მოვიპოვეთ. ამდენმა უსამართლობამ გული გამიტეხა. თანაც, რაგბი უფრო პროფესიული გახდა — ვარჯიშებს მეტი დრო უნდოდა, მე კი ჩემი სპეციალობით — არქიტექტორად ვმუშაობდი. არც იქით ვიყავი, არც — აქეთ, ამიტომ რაგბის შეველიე.

**— ამერიკაშიც თუ იცლით „ბურჟუაზიული“ სპორტისთვის?**

— რაგბისთვის ვერა, მაგრამ ფეხბურთს კი ვუთმობ დიდ დროს. სამი ვაჟი მყავს. შუათანას კარგი მონაცემები ჰქონდა. შევკრიბე მისი თანატოლი ბიჭები და უანგაროდ შევუდექი მათს მომზადებას. ისეთი გუნდი ჩამოვაყალიბე, რომ 7 სეზონში მხოლოდ 3 მატჩი წავაგეთ. ამის მიუხედავად, იქაურ ახალგაზრდებს ცხოვრებისეული ფილოსოფია, მენტალიტეტი ვერ შევაცვლევინე. ისინი სპორტს უყურებენ, როგორც გართობის საშუალებას და ჯანმრთელობის წყაროს. პროფესიული ფეხბურთისკენ ნაბიჯი ვერ გადავადგმევინე. ჰოდა, მეც შევეგუე, ახლა ახალგაზრდებთან ერთად ვვარჯიშობ და ჯანმრთელობას ვიკაჟებ. სამსახურშიც ხალისიანად ვარ და წლების სიმძიმესაც ვერ ვგრძნობ...

მართლაც, ჭაბუკურად გამოიყურება აღნაგი გოგი ტონია, არადა, ამ დღეებში მას 65 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!



ვაჟა დანელია,
ცეზარ დარჩია.

**სურათებზე: ასეთი იყო გოგი ტონია ჭაბუკობისას; საქართველოს პირველი მორაგბეთა გუნდი (1 რიგში მარჯვნიდან პირველი გოგი ტონია); სსრ კავშირის მესამე პრიზიორი „ლოკომოტივი“ (1972 წ.).**

**ფოტოები გოგი ტონიას არქივიდან.**

ნუთუ?

# ოლიმპიური სექს-ბიზნესი

**საქმეში ჩახედული ხალხის განცხადებით, ათენის ოლიმპიადის დაწყების წინ ადამიანების კონტრაბანდით დასაქმებული ჯგუფები საბერძნეთში ჩაიყვანენ ორი ათასამდე ქალს, რომლებიც შეავსებენ იქაური მეძავების რიგებს.**

ამერიკის ადმინისტრაციამ ეს-ეს არის გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც მკვეთრად არის გაკრიტიკებული საბერძნეთის ხელისუფლება ასეთი მოვაჭრეებისაგან მათი მსხვერპლის დაუცველობისათვის. თავად ბერძნული სამართალდამცავი ორგანოებიც აღიარებენ ამ პრობლემის მასშტაბურობას და არც იმას მალავენ, რომ ამ საქმეს უკეთ აკონტროლებენ აქ ჩამოსული ალბანელი, უკრაინელი და რუსეთელი საქმოსნები.



თუმცა, საბერძნეთის პოლიციამ მათ წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ დაიწყო, მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდა. „სუტენიორები“ ყველანაირად ცდილობენ კანონის გვერდის ავლასა და თავიანთი ბიზნესის განმტკიცებას.

მიიჩნევენ, რომ ამჟამად საბერძნეთში იმყოფება სულ ცოტა 14 ათასი მეძავი ქალი აღმოსავლეთ ევროპიდან.

ბევრი მათგანი ქვეყანაში, მართალია, ფულის საშოვნელად ჩამოვიდა, მაგრამ პატიოსანი გზით, თუმცა, შემდეგ იძულებული გახდა სულ სხვა გზას დასდგომოდა. აი, რას აცხადებს 17 წლის მოლდაველი ანა, რომელმაც ახლახან პოლიციის დახმარებით დააღწია თავი სიძვის ჯურღმულებს.

„გამოვეხმაურე ერთ-ერთ მოლდავურ გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას საბერძნეთში ძიძად მუშაობის თაობაზე, მაგრამ, როდესაც ათენში ჩამოვედი, დამხვდურმა კაცმა სულ სხვა სახლში წამიყვანა და მაიძულა სხეულით მევაჭრა“.

ცნობილია, რომ კონტრაბანდისტები ხშირად თავად აუპატიურებენ და იმორჩილებენ მათთან მოხვედრილ ქალებს.

ამ ზაფხულს ათენში მოელიან ასეულ ათასობით ტურისტს, რაც ფართო სარბიელს მისცემს სექს-ინდუსტრიით დასაქმებულ დამნაშავეთა დაჯგუფებებსაც. ამის მწარე გაკვეთილი სეულის ოლიმპიადამაც დატოვა.

საბერძნეთის მთავრობა ამკაცრებს კონტროლს ქვეყნის საზღვაო და სახმელეთო საზღვრებზე. თუმცა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ხმამაღლა აცხადებენ, რომ გამორიცხული არ არის, კონტრაბანდისტებმა მოისყიდონ სადღაც შორეულ სოფლებში ზოგიერთი ბერძენი მესაზღვრე და პოლიციელი და თავიანთი საქმე მაინც გაჩარხონ.

დამნაშავეთა დაჯგუფებები ხშირად ტაქტიკასაც იცვლიან. „როდესაც პოლიცია ღამის კლუბს ამოწმებს და იქ 15 ქალს აღმოაჩენს, ვერ აპატიმრებს მათ, რადგან იქვე იმყოფება კაცი, ვისაც ყველა სათანადო საბუთი მზადა აქვს, — ამბობს კრიმინოლოგიის პროფესორი გრეგორის ლასოსი. — პოლიციელებმა იციან, რომ ეს საბუთები ყალბია, მაგრამ ვერავის იჭერენ და ხელცარიელნი ბრუნდებიან.

ბოლო ორ წელიწადში, მართალია, საბერძნეთის ხელისუფლებამ მიიღეს კანონები ქალთა კონტრაბანდასთან ბრძოლისა და მსხვერპლის დაცვის შესახებ (პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებაც კი გამოიცა), მაგრამ რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა.

პროფესორ ლასოსის თქმით, სამართალდამცავი ორგანოები კარგად იცნობენ კონტრაბანდული ქსელის ლიდერებს, მაგრამ ისინი დიდი გავლენით სარგებლობენ, რადგან მათ ბიზნესს წელიწადში დაახლოებით 1,2 მილიარდი ევრო შემოაქვს (!).




ბერძნული პოლიცია იმასაც იმიზეზებს, რომ არ იცის, სად წაიყვანოს და აცხოვროს სექსუალური მონობიდან გამოხსნილი ათასობით ქალი.

თაოგა

# ჩოგბურთელი, რომელიც ბექჰემს ქომაგობს



**ხუთი წლისამ აიღო პირველად ჩოგანი ხელში. მამამ მიიყვანა სამედიცინო ინსტიტუტის კორტებზე — გაერთობა და ცოტას წონაშიც დაიკლებსო. ნაცნობ-ახლობლების ჩქმეტისგან ბუთხუზა ლოყები სულ აწითლებული ჰქონდა.**

მამის ვარაუდი გამართლდა — სალომემ წონაშიც დაიკლო და სიმაღლეშიც გაიზარდა. დღეს აშოლტილი ქალიშვილია, თანაც თავის ასაკში — ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი.

**სალომე ჩაჩხუნაშვილმა** (1989 წლის 29 მაისს დაიბადა, 101-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელია) ირინა ერმოლოვასთან დაიწყო ვარჯიში. მერე მარინე მალაციძე და ალიკა ყარანგოზიშვილი ამეცადინებდნენ, სექტემბრიდან მიხეილ ბუთხუზთან იმაღლებს ოსტატობას. თანატოლებში თუ აქამდე მხოლოდ საპრიზო ადგილებზე გადიოდა, იანვრიდან წარმატებები ამრავლა. ჯერ საქართველოს ზამთრის პირველობაზე 16-წლიანთა შორის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ფინალში სოფიკო შაფათავას სძლია.

სალომე და სოფიკო მეგობრები არიან, ამავე დროს — მუდმივი მეტოქეებიც. წლეულს ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. უწინ სოფიკო ჯაბნიდა, ახლა კი სალომე უგებს. ზამთრის პირველობის გარდა, ჩაჩხუნაშვილმა თექვსმეტწლიანთა კიდევ სამ შეჯიბრებაზე იმარჯვა — თბილისის საერთაშორისო ტურნირში, ლეილა მესხის აკადემიის ღია პირველობასა და საქართველოს პირველობაში. სამივეჯერ ერთეულთა თანრიგში შაფათავას აჯობა, აი, წყვილებში კი ნინა მაკაროვასთან ერთად ფინალური ორთაბრძოლა დათმო შაფათავა-ქვაცბაიას დუეტთან.

— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც აღმოსავლეთ ევროპის პირველობა იყო, — მითხრა სალომემ. — სერბეთის ქალაქ ნოვი სადში ორი ტურნირი გაიმართა. საბოლოოდ ათეულში მოვხვდი, სამაგიეროდ, იყოჩაღა თათია მიქაძემ, რომელმაც პირველი ტურნირის ფინალში ბულგარელ ველიევას მოუგო და ოქროს მედალი მოიპოვა, მეორეში კი რუმინელ ოლარუსთან მარცხის შემდეგ ვერცხლის მედალს დასჯერდა. მე და თათიამ წყვილებშიც ვიასპარეზეთ და მესამე ადგილი დავიკავეთ.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ლეილა მესხს, რომელმაც სერბეთში გასამგზავრებლად დაგვაფინანსა. 19 ივლისს ბელგიაში 16-წლიანთა ევროპის პირველობა გაიმართება. იქაც მე და თათია მიქაძე გავემგზავრებით. ყველა ხარჯს ამჯერადაც ქალბატონი ლეილა გაიღებს. ასევე, მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ჩემი მწვრთნელები, განსაკუთრებით — ბატონი მიხეილ ბუთხუზი. ბოლო დროს მიღწეულ წარმატებებში სწორედ მას მიუძღვის დიდი წვლილი...

აი, ასეთია მოკლედ სპორტული ბიოგრაფიის ოფიციალური მხარე ახალგაზრდა პერსპექტიული ჩოგბურთელისა, რომელიც სპორტული კანონებით ცხოვრობს: სწავლა — გრაფიკით, კვება — გამოზომილი, თავისუფალი დრო — დეფიციტი. ეს ყოველივე ერთი შეხედვით ჩანს, თორემ რედაქციაში სტუმრობისას სალომე მშვენიერ თბილისელ გოგონად წარმოგვიდგა, რომელსაც თანატოლებივით უყვარს მოდაზე ჩაცმა, ლამაზი სამკაულები, ზოგჯერ — ცურვა, ტელევიზორი და ფეხბურთი.



— მამა ყოფილი ფეხბურთელია, — მიხსნის სალომე, — ჭაბუკობისას საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა. ახლაც მასთან ერთად ვუყურებ ევროპის ჩემპიონატის მატჩებს, თუმცა იშვიათად, რადგან დილით ადრე უნდა ავდგე სავარჯიშოდ, პორტუგალიაში შეხვედრები კი გვიან მთავრდება და ძილი არ მეყოფა.

**— ვის ქომაგობ?**

— ინგლისის ნაკრებს და ბექჰემს. სამწუხაროდ, ბრიტანელები ჩემპიონატს გამოეთიშნენ და სწორედ ბექჰემის გამო — მას რომ თერთმეტმეტრიანი გაეტანა, ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა.

**— ბავშვობაში ჭამა გყვარებია. ახლაც თუ ეტანები სასუსნავს?**

— ტკბილეულზე უწინდელივით ვგიჟდები, თუმცა, ვერიდები. არც ცემრიელ კერძებთან ვარ მწყრალად, მაგრამ გასუქების მეშინია. თანაც, ყოველდღიურად ოთხ-ხუთსაათიანი წვრთნის შემდეგ ისე ვიღლები, რომ ჭამის თავიც არ მაქვს.

**— მითხრეს, კარგად სწავლობსო.**

— მეცხრე კლასი ისე დავამთავრე, რომ მხოლოდ ორი ოთხიანი გამომყვა. დანარჩენი ხუთები მაქვს. ვექილობას ვაპირებ და უსწავლელად არაფერი გამოვა.

**— რაზე ოცნებობ?**

— ტრაბახი თუ არ გამომივა, ვენუს უილიამსივით დიდი ჩოგბურთელი მინდა გავხდე...

ახალგაზრდა სპორტსმენმა ბოლო დროს გამარჯვებებს გემო გაუგო, ამიტომ მადაც აღეძრა და უფრო მონდომებით ვარჯიშობს, შეჯიბრებებშიც დიდი აზარტითა და შემართებით მონაწილეობს. სწორედ, ამ ორთაბრძოლებში იწრთობა ჩვენი ჩოგბურთის იმედად.

**სალომემ გუშინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი ჩაამთავრა წარმატებით. — რენა აბჟანდაძის ხსოვნის მემორიალის ფინალში მარიამ ოსაძეს სძლია 6:2, 6:1, დღეს კი ჩემოდანს ჩაალაგებს, რათა ხვალ ახალ ასპარეზობაში ჩაებას.**

ვაჟა დანელია.

**სურათებზე: კორტზე მორიგი ორთაბრძოლისას; მწვრთნელი და შეგირდი — მიხეილ ბუთხუზი და სალომე ჩაჩხუნაშვილი.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ფიცარნაგზე — მორაგბეები, V ნაწილი

**დღეს ვამთავრებთ ვარჯიშების სერიას სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ ათლეტიზმის დარბაზიდან.** ჩვენი სტუმრები იყვნენ საქართველოს წამყვანი მორაგბეები, რომლებიც, ტრადიციისამებრ, კარგი ძალისმიერი მომზადებით გამოირჩეოდნენ და დღესაც ბრწყინვალე ფორმაში არიან. ამჯერად წარმოგიდგენთ თბილისის „ლოკომოტივის“ მოთამაშეს, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს **რევაზ ძნელაძეს** (დაიბადა 1984 წელს, სიმაღლე — 190 სმ, წონა — 100 კგ.).

**1. ქამარზე დამაგრებული სიმძიმით ფეხის წვერზე გადასვლა (სურ. 1).** ვარჯიშდება წვივის კუნთები. თითოეული ფეხისათვის მონაცვლეობით სრულდება 6-6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**2. შტანგის ამოწევა ზურგსუკან (სურ. 2).** ვითარდება ბარძაყის ოთხთავა კუნთები. სრულდება 6 მისვლა 6-6 გამეორებით.

**3. ზნექები შტანგით ზურგზე ნიკაპის ჰორიზონტალურ სკამთან შეხებამდე (სურ. 3).** ავითარებს წელის კუნთებს. სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**4. ზნექები მუცლის ღვირზე დაყრდნობით, ზურგზე სიმძიმით (სურ. 4, 5).** ავითარებს წელის კუნთებს. ამ ვარჯიშს „ჰიპერექსტენზიას“ უწოდებენ. სრულდება 4 მისვლა 10-10 გამეორებით.

**5. ცალი მხრიდან დამაგრებული შტანგით ზურგის უგანიერესი კუნთების ვარჯიში (სურ. 6).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

ზურაბ ჭავჭანიძე.
ნაზი გოგიშვილის ფოტო.



















ჭადრაკი

# დაწინაურდა ძაგნიძე

**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 61-ე ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ლიდერი შეიცვალა — გუშინდელი პაექრობების შემდეგ გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი, 17 წლის ქუთაისელი დიდოსტატი ნანა ძაგნიძე. მეათე ტურში იგი თანაქალაქელ სოფიკო ტყეშელაშვილს დაუზავდა და რვა ქულა მოაგროვა. ნინო ხურციძემ შავი ფიგურებით სძლია ლელა ჯავახიშვილს, რომელიც პირველი ტურიდან გუშინდლამდე ლიდერობდა. ახლა ხურციძეს და ჯავახიშვილს 7,5-7,5 ქულა აქვთ, II-III ადგილებს იყოფენ და, ცხადია, ჩემპიონობისთვისაც იბრძოლებენ.**

გუშინ სალომე მელია მაია ლომინეიშვილს დაუზავდა. საგულისხმოა, რომ სალომემ ორი დღის წინათ მოაგროვა 5 ქულა და საერთაშორისო ოსტატის მესამე ბალი დაიმსახურა. სოფიკო გვეტაძემ თამარ წერეთელთან შეხვედრისას უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და ყაიმს დასჯერა, რითაც დიდოსტატის ნორმატივის შესრულების შანსი დაკარგა.

დანარჩენ ორ პარტიაში ანა მათნაძემ ინგა ჭარხალაშვილი დაამარცხა, ხოლო მირანდა მიქაძემ ანა გავაშელს სძლია.

ათი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ძაგნიძე — 8, ჯავახიშვილი და ხურციძე — 7,5, ლომინეიშვილი — 7, გვეტაძე და მელია — 5,5, მათნაძე და ტყეშელაშვილი — 4,5, წერეთელი — 3,5, ჭარხალაშვილი — 3, მიქაძე — 2,5, გავაშელი — 1 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: **წერეთელი — ძაგნიძე, ტყეშელაშვილი — მიქაძე, გავაშელი — ჭარხალაშვილი, მათნაძე — ჯავახიშვილი, ხურციძე — მელია, ლომინეიშვილი — გვეტაძე.**

ქეთი გაბინაშვილი.

ჩოგბურთი

# „ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“

**თბილისის ჩოგბურთის კორტებზე ამ დღეებში მრავალი საინტერესო შეჯიბრება გაიმართა. ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიამ ავსტრიის ავიახაზების პრიზებზე მეექვსედ უმასპინძლა ტურნირს, რომელშიც საქართველოს, თურქეთის, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის 110 წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

ერთეულთა თანრიგის ფინალში სალომე ჩაჩხუნაშვილმა თანაგუნდელს სოფიკო შაფათავას სძლია. სამაგიეროდ, შაფათავამ თავის სეხნია — სოფიკო ქვაცბაიასთან ერთად წყვილებში 2:0 დაამარცხა ნინა მაკაროვას და სალომე ჩაჩხუნაშვილის დუეტი. ვაჟებში პირველი იყო გიორგი ხრიკაძე, რომელიც გიორგი ჭანტურიასთან ერთად მეორედაც ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. უმცროს ასაკში ტოლი არ ჰყავდათ თბილისელ ოქსანა კალაშნიკოვას და ერევნელ დავით მინასიანს.

„დინამოს“ კორტებზე მასპინძლებთან ერთად ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის 80-მდე ჩოგბურთელმა მოიყარა თავი. უფროს ასაკში სოფიკო შაფათავამ და ლაშა ქარჩაიძემ გაიმარჯვეს. უმცროს ასაკში სანდრო მეტრეველი და ნინო სუჯაშვილი იყვნენ პირველი.

გორგასლის ქუჩაზე მდებარე საჩოგბურთო კლუბმა „თბილისმა“ პირველად გამართა ღია ტურნირი სხვადასხვა ასაკში. თბილისის, ბათუმისა და რუსთავის 55 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს საპრიზო ადგილებს. ყველას მარიამ ოსაძემ და ლუკა სულაძემ, თათია კახელიშვილმა და სანდრო თოფურიძემ, ნინო სუჯაშვილმა და გეგა გელაშვილმა, ბაბილინა მაჩაიძემ და ლუკა ფილფანმა აჯობეს.

გარი ამირხანოვი.

# ლიტერატურა

საქართველოს რესპუბლიკა
№ 147, კვირა, 27 ივნისი, 2004 წელი.

**ნოდარ ჯალაღონია — 70**



**თიბათვე** პოეტ ნოდარ ჯალაღონიასთვის განსაკუთრებული თვეა — ამ თვეში მოევლინა იგი ქვეყანას 1934 წელს და, მიუხედავად ბოლო ათწლეულის ძნელბედობისა, დღესაც ჭარმაგად გამოიყურება — თუმცა, სხვათა ჭირ-ვარამის და სატკივრის შემამსუბუქებელს, ყოვლად უანგაროს და სიკეთის მოქმედს, სევდა მოსძალებია...

მაინც არ იშლის სიტყვასთან ჭიდილს, ახლახან გამოსცა ერთტომეული (გამომცემლობა „ზანა“, რედაქტორი ჯემალ შონია), რომელშიც თავი მოუყარა 1959 წლიდან 2003 წლამდე გამოსულ ლექსებს კრებულებიდან: „სიმღერის გაზაფხული“, „სიმაღლე“, „ლექსები“, „კამერტონი“, „9 აპრილიდან 9 აპრილამდე“, „ქუჩაში დაწერილი ლექსები“, „წლები... წლები“...

ერთ-ერთ კრებულს „ჩემი მარადიული თემა“ ჰქვია — ეს მარადიულობა, უსიტყვოდაც ჩანს სამშობლოს რომ ეხება. ასევე მარადიულია მისთვის კოლხური მოტივები.

ლექსები პირველივე წიგნიდან ამღერდა, აბა, გაიხსენეთ სანდრო მირიანაშვილის „განდაგანა“, გენო მანჯგალაძის „ჩქარა, თორემ მოდის გიორგობის თვე“, რომელსაც მისთვის ჩვეული ეშხით მღერის ეკა მამალაძე; „მადლობელი ვარ“, — ბუბა კიკაბიძის ერთ-ერთი საყვარელი სიმღერაა.

ახლა ერთტომეულზე, რომელიც ნაბოლარას არ ვიტყვით და გვიანი შვილივით სანუკვარია, — ამ წიგნით ნოდარ ჯალაღონიამ დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ პოეტი ყოველთვის პოეტად რჩება, — გინდ 70 წლისა გახდეს, გინდ ასის!.. ამიტომაც გაუმართეს ახლახან მწერალთა კავშირში შემოქმედებითი საღამო, პრეზენტაცია კი ჟურნალისტთა კავშირში!

დიდი ხანია ნოდარ ჯალაღონიას ლექსები არ გამოჩენილა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ამიტომ, ვფიქრობ, მკითხველისთვის ფრიად საგულისყურო იქნება მისი ახალი ქმნილებები.

**ნანა ღვინეფაძე.**

## ჩვენი ჯიში და ჯილაგი

სულის და სისხლის ყივილი მოგვყვება ჩვენ იმთავითვე,
რომ არ გვყოლოდა ვახტანგი, არ იქნებოდა დავითი.

დღესაც რომ გვადიდგულებს და ვართ ამაყი და თამამი,
ვინ ამხნევებდა ქეთევანს, თუ არა სისხლი თამარის.

დღესაც რომ ვუმზერთ იმედით, დღესაც რომ რწმენით ვიგონებთ,
ვინ აქეზებდა ბასიანს, თუ არა სული დიდგორის.

დღესაც რომ ებრძვის ბაღვაშებს, ფარნავაზ-ქუჯის მადლია,
კოხტა გორაზე მათი ხმა გულს უმაგრებდა დადიანს.

არ დაგვრჩენია არც ომი, არც ლხინი გადაუხდელი,
რომ არა ენა ქართული, არ იქნებოდა რუსთველი.

რომ არა სვეტიცხოველი, არ იქნებოდა სიონი,
არცაღა ურუსთაველოდ — ვაჟა და გალაკტიონი.

არ ივიწყებდა სამშობლო არც არავის და არაფერს,
ის ცხრა ძმა ხერხეულიძე წვრთნიდა იმ სამასს არაგველს.

ვაჟკაცებს სანთლებს ვუნთებდით, მაგრამ იმედს არ ვმარხავდით,
რომ არ გვყოლოდა პაატა, ვერც თევდორე ბერს ვნახავდით.

კრწანისთან თუკი დავდუმდით, კოჯორთან კვლავ ავხმიანდით,
რომ არ გვყოლოდა ილია, არ იქნებოდა ზვიადი.

როდესაც მერაბს ეჭირა სამშობლოს დროშა გაშლილი,
მარღვეპში სისხლი უჩქეფდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის.

ქართველი გოგო-ბიჭები ჯალათმა რომ არ დაინდო,
იმ ცხრა აპრილის კოცონი ცხრა მარტის ცეცხლით აინთო.

თავისუფლება ქართველის ოცნება და ტკივილია,
ვარდების რევოლუციაც იმ ცხრა აპრილის შვილია.

გულიდან გულში იღვრება, სისხლიდან სისხლში გადადის
სული შოთას და დავითის, დიდგორისა და მარაბდის.

ქვეყნისთვის ვიხარჯებოდით, სიცოცხლეს არ ვიშარავდით,
ასე ვიყავით, ამ რწმენით მივალთ სამარის კარამდე.

ასე ვიყავით, ასე ვართ, ასე დავრჩებით ბოლომდე,
ისევ გულდაგულ დავხვდებით სიკეთეს თუ სიბოროტეს.

ჩვენი ჯიში და ჯილაგი, არა არ გადაგვარდება,
გამარჯვებული სამშობლო ლაშარის გორზე დადგება!

## დოლის პური

ქართულ დოლის პურს საოცარი თვისება გააჩნია: გარდა იმისა, რომ გემრიელი და სურნელოვანია, როცა მტერი შემოგვესეოდა და გადათელავდა, გადათელილი ყანა, ცოტა ხანში, მიწიდან ისევ დგებოდა.

როცა მტერი ქართულ მიწას წვავდა, თხრიდა, ბუგავდა,
გათელილი საქართველოს თითქოს დოლის პურს გავდა.

ასჯერ ზის დაჭრილ-დაჩეხილი მაინც აღარ კვდებოდა,
წაქცეული საქართველო, ისევ ფეხზე დგებოდა.

თუ ქართველი მონად ყოფნას, ზოგჯერ სიკვდილს არჩევდა,
ის უკვდავი ქართვლის დედა აკვანს ისევ არწევდა.

ისევ ზრდიდა გოგო-ბიჭებს ლეგენდებად, ლექსებად,
ხან ყინწვისის ანგელოზად, ბეთანიის ფრესკებად.

ხან ქეთევან დედოფლებად, ხან თევდორე ბერებად,
ხან ცხრა ძმებად, ხანაც კიდევ, სამასს არაგველებად.

კაცი მამულს შეწირული, განა სიკვდილს ნანობდა,
ტანზე ისევ თაფლს ისვამდა, ისევ დადიანობდა.

ისევ მახვილს ამღერებდა, სევდას არად აგდებდა,
საფლავიდან დგებოდა და ციხე-კოშკებს აგებდა.

ვაჟკაცების სახელები, ხომ სამშობლოს განძია,
მათი სული ცოცხლდებოდა, კლდეში ჭრიდა ვარძიას.

მოუმე, ვეფხვის მოკლული თუ შეწირული მარაბდას,
ისევ წერდა ვეფხვის ტყავზე ემის და ვეფხვის ბალადას.

პური ჩვენი არსობისა, განა მარტო პურია,
დოლის პური, ჩვენი რწმენა და უკვდავი სულია.

რაკი, აღარ გვიძებნია სხვა განძი და ქონება,
ფეხზე დამდგარ საქართველოს ჰქვია „ქართლის ცხოვრება“.

* * *

დრომ და სატანამ ისე არია
ერი გორგასალ-დავითიანი,
დღეს კაზინო და რესტორანია
ბევრის დიდგორი და ბასიანი.

* * *

ბევრის სახელს და ბევრის გვარს
დრო-ჟამი არ შეიცოდებს.
ზოგის სიცოცხლე სიკვდილს ჰგავს,
ზოგის სიკვდილი — სიცოცხლეს.

**ეპისტოლე**

ოტია იოსელიანი

# წერილები დაჩის

## მწიგნობრობის თაობაზე



**თუ** მანამდე არა, მას მერე მაინც, რაც ადამიანი გამოქვაბულიდან გამოსახლდა და ანბანი შექმნა, მას მერე რაც უაზროვნია — წიგნშია მოქცეული.

ადამიანს ნიჭი დაჰყვება, თორემ ცოდნა შესაძენია. პირველყოფილი და თანამედროვე ადამიანი ერთნაირი ცოდნით იბადება. გამოქვაბულის ახალშობილი რომ წამოვიყვანოთ და ჩვენი მათ დავუტოვოთ, იმათი, ჩვენთან, ჩვენნაირი იქნება და ჩვენი — მათი ალი-კვალი (ამისთვის მარტო ინგლისელი მწერლის რადიარდ კიპლინგის „მაუგლი“-ც კმარა).

ის გზა, რაც კაცობრიობამ გაიარა, შენც უნდა გაიარო (წიგნით, რა თქმა უნდა), რომ თანამედროვე გახდე, თორემ, აკი მოგახსენეთ, ადამიანი პირველყოფილიც და ოცდამეერთე საუკუნისაც ერთნაირი ცოდნით იბადება.

რა ვქნათ ახლა?

არ ვიკითხოთ და არ ვიმწიგნობროთ?

ვიყოთ თანამედროვე და ვიცხოვროთ გამოქვაბულში?

უწიგნოდ ვერანაირად გახდები თანამედროვე, რაკი ადამიანი პირველყოფილად იბადება.

მოდი ერთი, გადავავლოთ თვალი კაცობრიობის ისტორიას...

— გადავავლოთ! — დამეთანხმები შენ.

მაგრამ მე გეკითხები:

— როგორ გადავავლოთ?

— როგორ და, როგორც ხდება.

— როგორ ხდება და რა ხდება?

— ხდება... — მხრებს იჩეჩავ — როგორ და, ავიღოთ...

— სდექ! — გაჩერებ და ვავლებ ხელს.. რას?

— რას... მატიანეს... ისტორიას...

— ისევ სდექ!.. და რაა მაგ შენი მატიანე, ისტორია და თუნდაც გეოგრაფია?..

— რა და...

— რადა, წიგნი! არც მეტი, არც ნაკლები, წიგნი! წიგნი, აბა, მე და შენ აგერ, ბუხრის წინ, ან აივანზე გადმომდგარი რისი თვალის გადამვლები ვართ: ჩვენი ეზოს, ჩვენი მეზობლების, ჩვენი საყანეების, საძოვრების და შორს, აქეთ გურია-მესხეთ-ჯავახეთის მთებს თუ მივაწვდენთ თვალს და იქით — კავკასიონის თეთრ მწვერვალებს. ისიც, თუ კარგი ამინდია და თუ სახლის სახურავზე ავალთ. შავი ზღვის ბურუსს თუ ვისაკლისებთ, ეს კაცობრიობის კი არა, ჩვენი პატარა ქვეყნის ისე მცირე ნაწილია, რასაც, საერთოდ, ადამიანს თვალი მიუწვდება. მაგრამ აგერა გვაქვს წიგნი და თუ ჩვენ მწიგნობრები ვართ, მთელი მსოფლიო ხელისგულზე გვიდევს. გარეთ გამოხედვაც არ გვინდა და აივანზე გადმოდგომაც. იჯექი ბუხართან, ცალი ხელით ქექე ნაცარი და მეორეთი შალე წიგნი. რა ჰქნა კაცობრიობამ, დღეს კი არა, გაჩენის დღიდან დღემდე და, თუ გნებავთ, ადამ და ევამდეც რა ხდებოდა, დედამიწა რომ მდუღარე, თონთხლო ფაფასავით მასა იყო და თუ გნებავს იმაზეც ადრე, როცა მთლად ქაოსი, სიბნელე და — სულ არაფერი... ძაღლი რომ პატრონს ვერ სცნობდა...

... და, მერე, ადამიანი რომ გაჩნდა და... ახლაც ისე პირველყოფილი იბადება. რა გზა გამოიარა, რა იყო შენამდე ეს გზა, თუ წიგნით არ გამოიარე, იქ დარჩები — პირველყოფილთან და დიდი-დიდი გამოქვაბულს შეაფარო თავი.

ახლა შენ იტყვი:

— აქ ყოფნას იქ არ სჯობს!

— სად იქ?

— სად და თავდაპირველთან, დასაბამთან, უშუალოსთან, უანგაროსთან, კეთილთან, მართალთან, ტიტველთან, მაგრამ ზნეობრივთან. არაფრის მქონესთან, ტოლებთან და სწორებთან. ტყუილი რომ არ იცოდნენ რა იყო და დედიშობილას ჯიბე არ გააჩნდა, რომ ვინმეს ხელი ჩაეყო. ფული არ იყო, რომ მოეპარა და ოქრო და ვერცხლი...

— მოიცა, მოიცა! ასე ბევრი რაიმის ჩამოთვლა შეიძლება და რა რას სჯობს, იმდროინდელი თუ დღევანდელი, მაგიც წიგნშია. ი, პირველყოფილი რა იყო და გუშინწინდელი, გუშინდელი და დღევანდელიც.

— და ის არ სჯობდა?

— რა რას სჯობდა...

— დღევანდელ გათახსირებას ის თავდაპირველი, შეურყვნელი და შეუვალი არ გვერჩია?

— მოიცა, მოიცა.. ის პატიოსნები, ზნედაცულები და წესიერები უფროსებს სიტყვას არ აწყვეტინებდნენ და პირში არ უვარდებოდნენ. და რა რას სჯობს და რაა უარესი და უკეთესი, ეს ჩვენი საქმე არაა. თუ სჯობდა და უკეთესი იყო, იქვე დაეტეოდა და ეს დღეს ჩვენ არ შეგვიძლია იქ დაბრუნება, თორემ ისინი იქვე არ იყვნენ და ვერ დაეტიენ? ჩვენ ახლა რომ წიგნში არ ჩავიხედოთ და გავპირველყოფილდეთ, რა გამოვა? ვიქნებით ოცდამეერთე საუკუნის პირველყოფილი — გამოქვაბულის მკვიდრი. უფრო სწორად, ცათამბჯენის მკვიდრი პირველყოფილი. ჩვენთვის ამქვეყნად მოსვლა არავის უკითხავს და (მაგი რომ ვინმეს ეკითხა, მაგას ვიზამდი და ხელ-ფეხს არ გავასავსავებდი?!) ამ დროში მოგვავლინეს და ამ დროის შვილი უნდა ვიყოთ. მაგრამ ამ დროში მოვედით იმ პირველყოფილის უგუნურებით. ცოდნა კი არ დაგვყოლია — შესაძენია იქიდან აქამდე. გინდა, არ გინდა დღევანდელი ადამიანი ხარ და იმდროინდელი კი არა, გუშინწინდელი და გუშინდელიც ვერ იქნები.

დღეს დაიკავებ კეტს, სთხლიშავ ნადირს, გასისხლიანებულ ნადავლს მოიდებ ზურგზე, მიიტან ცათამბჯენ გამოქვაბულში, მიესევით კაჟის დანით, დაგლეჯთ და უმად გადასანსლავთ? თუ იმავე კეტზე ქვას დააკრავ და იმით ინადირებ? თუ, სანამ ბრინჯაოს და რკინას გამოიგონებდნენ, ისრის წვერად კაჟს გამოიყენებ და მშვილდს მოზიდავ სანამ თოფს გამოამეცნიერებდე?

წიგნმა-ცოდნამ უნდა გამოგატაროს ეს გრძელი ძნელბედობის გზა-კვალი და მოხვიდე დღევანდლამდე.

დღეს კი წიგნი — ცოდნაა, ვინა ხარ შენ და რისი მაქნისი ხარ. დღეს ცოდნით ნადირობენ, ცოდნით იბრძვიან,

იხ. მე-11 გვ.

თარიღი

# მაესტროს დაბრუნება

**დღეს დიდი დირიჟორის ევგენი მიქელაძის დაბადების დღეა – 101 წლისთავი. ამ თარიღს დაემთხვა ცნობილი ჟურნალისტის შორენა ლებანიძის დოკუმენტური მოთხრობის „მაესტროს დაბრუნების" (ევგენი მიქელაძის ცხოვრების ქრონიკები) გამოცემა.**

**როგორც ავტორი გვიამბობს, ლეგენდარული მაესტროს მოღვაწეობა ორ მონოგრაფიაშია ასახული, ახალი გამოცემა კი ევგენი მიქელაძის მუსიკალური კარიერის გარდა, მის პიროვნულ ტრაგედიასაც ასახავს.**

**ავტორმა წიგნის გამოცემამდე სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, ამ თემას რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა, რამაც მიქელაძის შთამომავალს – აწ განსვენებულ თინა მიქელაძეს გადააწყვეტინა, წიგნი ტრაგიკულად დაღუპული მამის შესახებ სწორედ შორენა ლებანიძეს დაეწერა.**

**და აი, „მაესტროს დაბრუნება" უკვე გამოვიდა და მას, იმედია, ინტერესით გაეცნობა არა მარტო მუსიკალური საზოგადოება.**

**ქვემოთ გთავაზობთ ამ მოთხრობის პირველ თავს – „ცარიელი ლოჟა".**



...მოლოდინის წუთი დგას. ფარდაგდაგებულ მარმარილოს კიბეს მეწამული მოსასხამებისა და შავი ხავერდის კაბების შრიალით მიუყვებიან თანმხლებ ჯენტლმენთა მკლავებს დაყრდნობილი მანდილოსნები. ორნამენტებიან თაღსმიღმა გაშლილი სივრცე მზესავით ჩახჩახებს და ხარბი ცნობისმოყვარეობით ადევნებს თვალ-ყურს სამთავრობო ლოჟის ბინდბუნდს, რომელსაც სულ მალე გაჰკვეთს პენსნეზე არეკლილი სცენის შუქჩრდილი.

მანამდე ბენუარს თბილისელ ლამაზმანთა გუნდი შეეფინება. პარტერის პირველ რიგებს სოლიდური ინტელიგენცია დაიკავებს. ქანდარაზე სტუდენტები მოკალათდებიან. გულისფანცქალით მიაშურებს მუდმივ ადგილს ნატუსია ჭავჭავაძე. თვალით მოძებნის ნაცნობ პროფილს დარბაზის მარჯვენა კუთხეში, მომწვანო ხავერდგადაკრულ მოაჯირთან.

აი, ქეთო, ნატიფ მხრებზე დაწოლილი შავი თმის ტევრით, ნაზად მოხაზული ბაგითა და აზიდული წარბებით, აკომპანიატორ ვრონსკაიასა და დავით ანდღულაძის მეუღლეს შორის, ნინა ჩიჩუას გვერდით მჯდომი, ოდნავ თავდახრილი, მათ საუბარს კი არა, თითქოს იდუმალ ხმას მიყურადებული. „დღეს მხოლოდ შენთვის დავუკრავ, ქეთო", – იქნებ მართლაც უთხრა შავ ფრაკქვეშ მორგებულ ქათქათა პერანგზე თეთრი ბაფთის დამაგრებისას ქერათმიანმა მაესტრომ დილით და იქნებ ქალმაც გაუღიმა...

მაესტრო... ნატუსია ჭავჭავაძემ თვალები დახუჭა, რომ ელასტიური მტევნის სხარტი და ისრის გაჭრასავით ელვარე აქნევა წარმოედგინა. ჩურჩულებს პიანო და ხელის მსუბუქი მოძრაობა ვიოლინოების ნაზ მელოდიას ძერწავს. გრგვინავს ფორტისიმო და ხის საკრავების რთულ რულადებში ფოლადის ჟღერა ისმის.

ჯერ ყველაფერი წინ არის. 1936 წლის 29 ნოემბრის საღამოს 8 საათზე, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის" დეკადისწინა გენერალური რეპეტიციის მოლოდინშია. დღევანდელი წარმოდგენა ქართული ხელოვნების ტრიუმფის უვერტიურად უნდა იქცეს, მუსიკის ზეიმად, რომელიც თბილისის ოპერას მოსკოვის დიდი თეატრისკენ გზას გაუხსნის.

სახელმწიფო რანგში აყვანილმა მძლავრმა სარეკლამო კამპანიამ – ყოველ ნაბიჯზე გაკრულმა აფიშებმა და „სიმფონიური ორშაბათების" მიმოხილვების თანმდევმა საგაზეთო ანონსებმა დედაქალაქის სულიერი ცხოვრება „ჰანგების ტაძრისკენ" მიმართა. და რაკი საბჭოთა ხელოვნებად მონათლული ეროვნული შემოქმედების წარმოჩენაზე მნიშვნელოვანი აღარაფერი იყო, თაღოვანი დარბაზის სავარძლებში ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩნდა პარტიული ელიტა და მუსიკალური საზოგადოება...

„პაქთა გუნდის" თანხლებით გამოჩენილი ლავრენტი პავლოვიჩის მოელვარე პენსნე დაჟინებით დაჰყურებს პარტერის პირველ რიგში მჯდომ ინტელიგენციას. „ჰმ, „დურუჯი", – „ნაციონალისტური მისწრაფებების" ფორმულირებას იძენს პოლიტსამმართველოს უფროსობის დროიდან მომწიფებული „ბრალდება". რუსთაველის სახელობის თეატრის „მავნებლებისაგან" გაწმენდით – მოსკოვში, სანდრო ახმეტელის ათი დღის წინანდელი დაპატიმრებითა და „არალეგალური" ორგანიზაციის წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლებით იწყება დამდეგი 1937 წლის თბილისური ტრაგედია.

ევგენი მიქელაძე ჯერ კიდევ არ დგას სადირიჟორო პულტთან. ნაწრთობი ჩეკისტის გონება წამით ამოატივტივებს პროკოფიევის მესამე საფორტეპიანო კონცერტისა და ბიზეს „კარმენის" დაწყებისას პარტიტურის დემონსტრაციულად გატანის ქესტს. „მუსიკალური ალღო", „აბსოლუტური სმენა", „ფენომენალური მეხსიერება", – დიდსულოვნად დაეთანხმება თანამედროვეთა აღფრთოვანებულ შეფასებებს, მაგრამ არც დოსიეს უმნიშვნელოვანესი პუნქტები გამორჩება მხედველობიდან: „დიდგვაროვანი", „უპარტიო", რესპუბლიკის დღევანდელი ხელისუფალისადმი მტრულად განწყობილ მარიამ და მამია ორახელაშვილების სიძე...

„სამხილთა" ჩამონათვალი საქმისათვის მსვლელობის მისაცემად საკმარისი არ იქნება, სანამ ყოფილ თანამებრძოლთა იდეოლოგიური განხეთქილება ახალი თაობის გამარჯვებით არ დასრულდება. კიროვის მკვლელობა დასაბამს არ მისცემს ანგარიშსწორების ტალღას. სერგო ორჯონიკიძე არ გამოაკლდება სტალინის უახლოეს გარემოცვას. საკავშირო იმელის დირექტორის მოადგილე, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ყოფილი მდივანი ორახელაშვილი არ დაკარგავს დიდი ბელადის კეთილგანწყობას, ხოლო მის მეუღლეს, მარიამს არ დაატოვებინებენ განათლების კომისარიატის წამყვან თანამდებობებს.

ეს დროც დადგება – „ხალხის მტრის" ცნების დამკვიდრების, სითამამისა და დაუმორჩილებლობისათვის მიზღვის დრო... დახვრეტენ ახმეტელს, „დურუჯის" წევრებს, სხვებსაც. შორეული გულაგებისაკენ გაწოლილ ყინულოვან ტრამალებს გაუყენებენ ასეულებს, ათასეულებს. 1921-ისა და 24 წლების შემდეგ, პარტიულობის, ეროვნული იდეალებისადმი ერთგულების, ინდივიდუალიზმის ნიშნის მიხედვით, მესამედ გაცხრილავენ საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს – საბჭოთა სტერეოტიპებისაგან გაქცევის მოსურნე ინტელიგენციას. უმრავლესობის ბედი მალე გადაწყდება. ევგენი მიქელაძისაც. შინსახკომის საიდუმლო არქივებში საგულდაგულოდ შეინახება 1936 წლის აგვისტოთი დათარიღებული ანონიმური წერილი, რომელიც რესპუბლიკის პირველ პირს ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორის „მავნებლობას" ამცნობს.

„რა ხმაურია", – სპილენძის ინსტრუმენტების უნებური ჟღრიალის გაგონებისას ელვისებურად წყვეტს მოთავლის ჭვრეტას ლავრენტი პავლოვიჩი და პენსნეს რკალში მოქცეული მსუსხავი მზერით პულტისაკენ მსუბუქად მიმავალ ქერათმიან მაესტროს ბურღავს.

მაესტრო სცენის პირისპირ ჩერდება. იღებს ჯოხს. თავს აბრუნებს მარჯვნივ, პირველი ლოჟისაკენ, სადაც ქეთოს ნაცნობი პროფილი ეგულება. ულიმის პროფილს, იხედება ორკესტრის პირველი ვიოლინოებისაკენ. ვიოლინო ელის ხემის შეხებას, ხემი – დირიჟორის ნიშანს. ნიშანი არ აყოვნებს. სპექტაკლი იწყება...



თვალისმომჭრელად ასხივებს ბროლის ციხე. ფერთა ზეიმია მეფის სასახლეში. დიდებულთა ეროვნულ სამოსს ამშვენებს ოქრომკედით ნაქარგი ატლასის გულისპირი. იშლება უხვი და მდიდრული საქორწინო სუფრა. ქონგურებიან გალავნებზე მწკრივდებიან აბჯარასხმული მეომრები. მონაცვლეობს მონუმენტური დეკორაცია, არქიტექტურის გიგანტური მასშტაბები. ჰარმონიულად ჟღერს, ხან მიინავლება, ხან ნიაღვარივით მოვარდება ბგერათა ნაკადი. ახმიანდება ფაგოტი, კლარნეტი, ფლეიტა – წამით გაირინდება დირიჟორის მაღლა აწვდილი ხელი. იქუხებს სპილენძი – სიმტკიცე, ენერგია ემატება „ცოცხალი წკეპლის" მოძრაობას. არავითარი ყალბი ილეთი. მხოლოდ ელასტიური მტევნის დახვეწილი რხევა მუსიკის ტალღის მიმართულებით ნაწარმოების ზუსტი არსის გადმოსაცემად.

ახლოვდება კულმინაცია – აბესალომისა და მურმანის დუეტი. სინაზით, ცეცხლითა და სევდით ავსებს დარბაზს ანდღულაძე-ამირანაშვილის წყვილი ხავერდოვანი ხმა. ბოლო აკორდის შეწყვეტის შემდეგ: „ბის, ბის", – თავშეუკავებელი ემოციებით სწყდება ადგილს, ტაშს უკრავს, ყვირის, იხვეწება აუდიტორია. „ბის", – ფეხზეა და აპლოდისმენტებით ერწყმის საერთო ვნებას სამთავრობო ლოჟაც. მაგრამ მიქელაძე არ ჩერდება და ხელის ნერვული აქნევით უარყოფს დაჟინებულ თხოვნას.

– რას შვრებით, მაესტრო, – ჩურჩულებს ფერწასული ორკესტრანტი ლუარსაბ იაშვილი.

– აქ მე ვარ უფროსი, – თვალის ჩაკვრით პასუხობს მიქელაძე.

– კი მაგრამ... – სამთავრობო ლოჟისკენ იხედება და მღელვარებისაგან სულს ძლივს ითქვამს იაშვილი. ლავრენტი პავლოვიჩი არ ჩანს. ლოჟა ცარიელია...

– თავხედი, – მანქანის კარის მიჯახუნების შემდეგ გამოსცრის ბერია და „კარმენის" მეოთხე მოქმედების შესავალს, კავარადოსის არიას გაიხსენებს „ტოსკადან", როცა მიქელაძემ საორკესტრო ნომრებს აპლოდისმენტების ნიაღვარქვეშ უდირიჟორა. არც აუდიტორიამ დათმო, არც თვითონ გატყდა, რატომ?

– დუეტის ხელახლა შესრულება მოქმედების შეჩერებას, ანუ ოპერის მთლიანობის დარღვევას, ტემპის დაგდებას, განწყობილების დაკარგვას ნიშნავს, – მოგვიანებით, ანტრაქტზე დაუსაბუთებს საკუთარი სიჯიუტის მიზეზს დირიჟორი ბერიას გაუჩინარებით შემცბარ ლუარსაბ იაშვილს, – მუსიკალური ნომრების გამეორების არაესთეტურობა და არაბუნებრიობა „მხატის" გადაწყვეტილებამაც ცხადყო, როცა მომღერლებს სპექტაკლის დასრულების მერაღა მისცეს მაყურებლისთვის თავის დასაკრავად სცენაზე გამოსვლის უფლება... გესმით ჩემი?

– მესმის, – დაუდასტურებს იაშვილი, მაგრამ მაინც ვერაფრით დაივიწყებს მაესტროს ხელის ნერვული აქნევით უარყოფილ „ბისს", რომელმაც ბერიას მომლბალ სახეზე გადარბენილი ღიმილი კვლავ რისხვის ჩრდილით შეცვალა.

**შორენა ლებანიძე.**

ეპისტოლე

# წერილები დაჩის

## მწიგნობრობის თაობაზე

(მეათე გვერდიდან)

ცოდნით იმკვიდრებენ ადგილს და ცოდნით ლაპარაკობენ შენს ავკარგიანობაზე. და იგივე ცოდნაა აუცილებელი, რომ ოკეანეების ფსკერზე იყურყუმალო. მიწაზე მანქანებით იგრიალო, ცაში იფრინო და კოსმოსში იქროლო და ის პირველყოფილი უშუალობა, უანგარობა, სიწმინდე და კეთილშობილება იქონიო, ასე რომ გწყდება გული და იქ დაბრუნება გიჯობს.

რაც კაცობრიობას უაზროვნია, წიგნშია მოქცეული, თუ წიგნს არ წაიკითხავ და იმ გზას არ გაივლი, რაც ადამიანმა ადამ-ევას დროიდან გამოიარა, იქვე დარჩები, მაგრამ ამ დროში და (იქ დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, შენს ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფდა) ცათამბჯენში გექნება ბინა და გამოქვაბულში იცხოვრებ.

ადამიანი, მისდა საუბედუროდ, აზროვნებას ვერ აოკებს, მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება და წინ-წინ ერეკება. ღუპავს თავს, იცის, და გატაცებით მიისწრაფის აღმოჩენებიდან აღმოჩენებისკენ. ე, ბიჭო! რასაა, როშობი, რაა, რომ არ გაყენებს. ღმერთმა ჯერ მიწა გაგიჩინა, მერე ამ მიწაზე გაგაჩინა, ორი დღის წუთისოფელი მოგცა. დაეტიე აქ და სიამტკბილობით, ერთმანეთის სიყვარულით, სათნოებით და ღვთისმოსაობით იბოგინე. რას დარბიხარ, რას იხევ ტანზე ჭინჭებს, რას ასკდები ხეს და ქვას, ცას და კოსმოსს რას ეპოტინები. რაა, რომ არ გასვენებს და არ გაყენებს!

არაფერი ეყურება, არ შეუძლია სხვანაირად და მოკალი თუ გინდა. სხვანაირად არ შეუძლია, თორემ გგონია თვითონ ჩვენზე უკეთესად არ იცის? იმ დროსა და ჟამში, რომელშიც ცხოვრობს, არ ეტევა – რაც ჩემამდე იყო, ხომ იყოო, ახლა, ამ დროჟამშიც რომ ის ვიქნეთ, ის ვიქნებით რაც იყო. ჩვენ ხომ ჩვენი უნდა ვქნათ, რომ ჩვენი ვჰქმნათო, თორემ ჩვენი ყოფა, ყოფა არ იქნება. იმათი ყოფნით ვართ ჩვენ და ჩვენი ყოფნით მომავალი უნდა იქნესო, თვარა ჩვენც რომ იმ ნამყოთი ვიცხოვროთ, მომავალი იქიდან გააგრძელებს და ჩვენ გამოგვტოვებსო. არადა, ჩვენ ხომ ვართ და ჟამთასვლას ხომ ვერ ვეთრევინებით – ფეხი უნდა ავუწყოთო.

ასე რომ, ჩვენ ამას არავინ გვეკითხება და არავინ – ჩვენ რა გვინდა და რა არა, ყურად არ იღებს. გვინდა, არ გვინდა ვიმწიგნობროთ, გავნათლდეთ, ცოდნით დავიყურსოთ და ვითანამედროვოთ, ვიამდროჟამოთ და გამოქვაბულში კი არა, ცათამბჯენში ვიცხოვროთ.

კი, შენ იმასაც იკითხავ:

– ჩვენს მერინდელები რას იზამენ, ცათამბჯენებში რომ ვერ დაეტიონო.

– კი, ესეც საკითხავია და მეტი არაფერი.

– თუ მეტი არაფერი, მაშინ საკითხავიც არ ყოფილა.

– ჰო, თუმცა ესეც მართალია და თუ კაცობრიობის განვითარების გზასავალი ვიმწიგნობრეთ და კარგად ვიცით, მიღწეულით არ კმაყოფილდება და მუდამ წინ და წინ ისწრაფვის. მოსალოდნელია, დედამიწაზე სულ არ დაეტიოს, იშვიროს ფეხი და (მთვარე ხომ აატალახეს და სააგარაკე ადგილები მიიჩინეს) სამყარო ხომ უსასრულო ყოფილა (წიგნში ასე სწერია) დღეს კაცმა არ იცის, თავს სად ამოჰყოფს (მაგრამ არა გამოქვაბულში), მაგრამ იმ მომავლის კაცმა თავისი თვითონ იცის.

ჩვენ კი...

ჩვენ ჩვენი დრო-ჟამისა, ჩვენი ქვეყნისა ზედმიწევნით კარგად ვიცოდეთ.

⊙ კოლეგები

# ალლუმს ადევნებული ბიჭი „სპას“ გენერალია...

გრიბოედოვის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტამდე ერთი ხელის გაწვდენაა. ამ სიახლოვის „გემო“ ისე არავის უგემია, როგორც პატარა გივის. განსაკუთრებით ამაყობდა საალლუმო დღეებში. აედევნებოდა საზეიმო სამხედრო ფორმაში გამოწკეპილ ადამიანებს და მათს ყოველ მოძრაობას ბაძავდა. განსაკუთრებით მეზღვაურები ხიბლავდნენ. აღფრთოვანებული იყო მათი რომანტიკული პროფესიით და, ცოტა არ იყოს, შენატროდა კიდეც... მერე და მერე, ეს გრძნობა, ასაკის მომატებასთან ერთად, მოწიწებასა და პატივისცემაში გადაიზარდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მშობლებმა იმაზე ფიქრი დაიწყეს, – ბიჭისთვის მომავლის პროფესიად „სამხედრო მუნდირი“ აერჩიათ თუ არა!

... და მაინც, გივიმ სხვა გზა აირჩია, – ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა! იყო შესანიშნავი ფრენბურთელი, სპორტის ოსტატი, თამაშობდა საბჭოთა კავშირში აღიარებულ ისეთ ფრენბურთელებთან, როგორებიც იყვნენ ვაჟა კაჭარავა, დავით გოცირიძე, როლანდ ლონღაძე და სხვა. არაერთხელ დაუმსახურებია უმაღლესი სპორტული ჯილდოებიც.

საბოლოოდ, „პატარა გივიმ“ აჯობა დიდს, – ოდნავ სხვა ფორმით, მაგრამ მაინც ბავშვობის ოცნებებმა იმძლავრეს და ის სამხედრო კორესპონდენტი გახდა.

ყველაფერი, თითქოსდა, შემთხვევით დაიწყო, – თანაკურსელმა დაურეკა: იცი, სამხედრო გაზეთში ფოტოკორესპონდენტის ადგილი განთავისუფლდა... სამხედროზე შენი „გადარევის“ ამბავიც ვიცი და ბედს ხომ არ ცდი?

– არის, ბატონო „გენერალო“! შევეცდები გავამართლო სამხედრო კორესპონდენტის სახელი! – ასეთი იყო პასუხი.

და ასე შეემატა ქართველ ჟურნალისტთა ამქარს კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი – გივი ბაქრაძე!

ეს იყო 1974 წელს!

მალე ტელევიზიაში მიიწვიეს და აგერ უკვე ოცდაათი წელიწადია მოდის და მოდის პროფესიული გზა იმ ჟურნალისტისა, რომელსაც დღეს კოლეგები „უჩინო გენერალსაც“ უწოდებენ. ეს მეტსახელი მართლაც ალალია მისთვის, – სპასპეტთა და სპასალართა მსგავსად, ისიც ხომ „სპას“ მიუძღვება... სპალაშქარს კი, მეტწილად, გენერლები უდგანან სარდლად!

„სპა“ – სამხედრო პატრიოტული ალმანახი, – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე დღიდან გაჩნდა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე ეს სატელევიზიო პროგრამა და მას შემდეგ ყოველ კვირა დღეს მიუსხდებიან ქართველი ჯარისკაცები „ბაქრაძეს“ და მისი ყოველი სიტყვისა სჯერათ, სჯერათ და გრძნობენ, რომ მათ ესაუბრება ადამიანი, რომელსაც უყვარს სამშობლო, პატივს სცემს ჯარისკაცის ვაჟკაცურ პროფესიას. თუ შენიშვნებსაც შეახსენებენ, ეს, ისევ და ისევ, მათი კეთილისმსურველის მიერ ნათქვამი გულშემატკივრული საყვედურია და არა ჩასაფრებული ყიამყრალისა...

ბავშვობიდან მოსდგამს გივი ბაქრაძეს ასეთი ხასიათი მოყვასის სიყვარულისა!

ასეთი ტრადიცია მოსდგამთ მის ახალგაზრდა თანამებრძოლებსაც, – შალვა შენგელსა და ილია ჯავახიას! მოსდგამთ, რადგან მათში ამ ტრადიციას, ცნობილმა ჟურნალისტებმა ვიტალი შენგელმა და დოდო სიხარულიძემ ოჯახიდანვე დაუდეს სათავე. უფრო ადრე კი, შალვა შენგელმა, თავის დროზე ერთ-ერთ გამორჩეულ ქართველ ჟურნალისტად აღიარებულმა კაცმა და შენგელთა გვარის პატრიარქმა დაულოცათ გზა.

და ეს ტრადიცია და პროფესიონალიზმი განსაკუთრებულ ავტორიტეტს უქმნის „სპას“.

მათთან ერთად ბევრჯერ ვყოფილვარ გადაღებებზე და, მართალი გითხრათ, როგორც ძველ ტელეჟურნალისტს, მუდამ მეამაყებოდა „სპას“ მუშაობის სტილი, დახვეწილი, პროფესიული და ტაქტიანი მიდგომა თემისადმი. ავტორი, რედაქტორი, რეჟისორი და ოპერატორი, თითქოს, ერთარსებანი არიანო, ექსტრემალურ სიტუაციაშიც უსიტყვოდ და უხმაუროდ უგებდნენ ერთმანეთს...

... და მიდის „სპა“ ლაშქარი ქართველთა, მომავალი გამარჯვებისკენ!

– „სპა“ ჩვენი ტელევიზიაა!...“

– „სპა“ მაღალპროფესიონალი ჟურნალისტებითაა სავსე, ამასთან, არანაკლებ იციან სამხედრო საქმე...

– „სპა“ ყოველთვის ჩვენს გვერდით იბრძვის...

– „სამწუხაროა, რომ „სპა“ უხეირო დროს (შუადღისას!) გადის ეთერში და იშვიათად იმეორებენ...“

– „სპა“ სარკესავითაა, – ჩვენს საკუთარ სახეს ჩვენს ნაკლსა და სილამაზეს გვიჩვენებს და ვგრძნობთ, რომ ყველაფერს ამას აკეთებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თანაც ისე, რომ სანგარში მდგართ გული არ დაგვწყვიტოს...“

– „სპა“ გვასწავლის და გვამხნევებს...“

– „სპა“ ჩვენი აღმზრდელია, ბატონი გივი კი ჩვენი გენერალი...“

კიდევ ბევრი მაქვს მსგავსი ჩანაწერი ჩემს უბის წიგნაკში...

სხვადასხვა დროს ჩავიწერე ისინი სხვადასხვა სამხედრო ნაწილში...

– ხომ არ გრცხვენია ამდენს რომ გაქებენ? – ვკითხე გივის.

იშმუშნება „სპას“ გენერალი და ცდილობს რამენაირად თავიდან მომიცილოს. მაგრამ, რა გაეწყობა, ჟურნალისტური მეთოდები ორივეს ერთნაირად გვაქვს ათვისებული.

– კარგი, საკუთრივ არაფერს შეგეკითხები, ისე, ზოგადად ვისაუბროთ. რას ფიქრობ ქართულ ჯარზე?

– სხვა რა უნდა ვიფიქრო, – ეს გმირობაა!

– რომ დავმარცხდით?

– მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაწაგებული ვართ.... ჯერ ჩვენ ომი არ წაგვიგია, ჩვენ ბრძოლა წავაგეთ გარკვეულ მონაკვეთზე და გარკვეული დროით... და ეს დრო დღეს თუ ხვალ ამოიწურება! მეორეც, – გმირობაა იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ იტყვი იმ ჯარისკაცებზე და ოფიცრებზე, რომლებიც საოცარი სიდუხჭირის მიუხედავად, თავდადებით ემსახურებიან სამშობლოს... ადამიანებს ვერანაირი ძალა ვერ გააჩერებს გაუსაძლისში, გარდა



პატრიოტული სულისა და სიყვარულისა, სიყვარული კი, თავისთავად, გმირობაა!

– ძალოვანი სტრუქტურებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში შეიცვალა. ჯარი პრიორიტეტული გახდა, მეგობარი ქვეყნების დახმარებით თუ საკუთარი ძალისხმევით, ყველაფერი კეთდება ქართული ჯარის პროფესიული დონის ასამაღლებლად. ჩემი ღრმა რწმენით, ამ მოკლე ხანში, შედეგი ხელშესახებია... მეთანხმები?

– რა თქმა უნდა! ეს თვალნათლივ დაადასტურა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ბოლო ხანს გამართულმა ძალოვანთა ღონისძიება-დათვალიერებებმა. მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენი ბიჭები, თვით ამერიკელი სპეციალისტების აღიარებით, საოცარ პროფესიულ წარმატებებს აღწევენ...

– მაგრამ, კვლავ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი...

– ... რა თქმა უნდა, მაგრამ ხვალინდელი იმედიანი დღე თანდათან დგება...

**– დღეს საქართველო დგას სწორ გზაზე. დღეს ჩვენი ხალხი ახალ ძალებს იკრებს!“** – ბრძანა პრეზიდენტმა.

– ასეთ დროს ჟურნალისტებმაც, უნდა ვთქვათ ჩვენი სიტყვა ჯარების, ჯარისკაცის ავტორიტეტის ამაღლებისთვის... ერთხელ, ერთმა პოლკოვნიკმა იხუმრა, – ჩვენ, მართალია, ღარიბები, მაგრამ სიამაყით აღსავსენი ვართ! სიამაყე აუცილებელი თვისებაა ყოველი თავმოყვარე ადამიანისა.

– რას გვირჩევ?

– რა უნდა გირჩიო, იმაზე მეტი რასაც ცხოვრება გვკარნახობს... დიდად მოხარული ვარ, რომ უკვე მივხვდით, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ძლიერ შეიარაღებულ ძალას ქვეყნის ცხოვრებაში. ქართველებს გვაქვს ასეთი გამონათქვამი, – ძალა შეიქმნს სიყვარულსაო! დიახ, მაგრამ ეს ძალა მხარდაჭერას უნდა გრძნობდეს!

– გახსოვს ის პატარა ბიჭი „პარადის ჯარისკაცებს“ რომ აედევნებოდა რუსთაველზე?

ჩემი მეგობარი იღიმება.

– მახსოვს, აბა არაა?...

– დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმზეც ხომ არ აედევნე ქართველ ჩაუქებს?...

– არა! ახლა მე, მათთან ერთად, ვემსახურები საქართველოს!

**ზაურ ფიფია.**

**სურათზე: გივი ბაქრაძე.**

⊙ წერილი რედაქციას

# იქნებ ჩვენც გვეშველოს და ტყესაც

**კასპის რაიონის სოფელ სამთავისში მცხოვრებნი გთხოვთ, მოგვაქციოთ ყურადღება, რადგან სოფლის თავკაცებიდან ჩვენს მდგომარეობაზე არავინ ფიქრობს.** გასული საუკუნის ბოლო წლებში სოფელში გამოიყვანეს ბუნებრივი აირი, რისთვისაც დიდი თანხები სწორედ მოსახლეობამ გაიღო, მიუხედავად ამისა, ამჟამად გაზი აღარ გვაქვს, გაყვანილობა კარგა ხანია უმოქმედოდაა. ხალხს ძალიან უჭირს, ამიტომ ყოველ ზამთარში ნადგურდება და იკაფება ახალგაზრდა მუხის ტყე. არადა, მის გაზრდას ხომ წლები სჭირდება. ხანდაზმულები ვდარდობთ არა მარტო ჩვენს გაჭირვებაზე, ბუნების განადგურებაც ჩვენი დარდი და ვარამია. სწორად უთქვამთ: „ტყე შევუნახოთ შვილებსო“, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს.

იქნებ თქვენი დახმარებით მოგვაქციონ ყურადღება, რომ სოფელსაც ეშველოს და ტყესაც.

**კოტე მამუკაშვილი,**
**კასპი, სოფელი სამთავისი.**

⊙ პოლიცია

# ბინისა და ჯიბის ქურდები შეავიწროვეს

**გაზაფხულის დადგომისთანავე მოსახლეობა სამართლიან შეშფოთებას გამოთქვამდა ბინის, საქონლის, საოჯახო ნივთების ქურდობისა და ძარცვის შემთხვევების გახშირების გამო. შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ქურდბაცაცებისაგან შეწუხებული მოსახლეობისათვის მიცემულ პირობას ასრულებს. სისხლის სამართლის სამძებროს ქონებრივ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოსა და ქ. თბილისის პოლიციის შესაბამისი სამსახურებისა და რაიონული დანაყოფების თანამშრომლები უკვე აქტიურად შეუდგნენ ქურდბაცაცების ძებნისა და დაკავების ღონისძიებებს. სამართალდამცავების ერთობლივმა ძალისხმევამ უკვე გამოიღო პირველი, დამაიმედებელი შედეგები. დაკავებული არიან ქურდებისა და მძარცველების ჯგუფებიც და „მარტოხელა“ ბაცაცებიც. გთავაზობთ ბოლო დღეების კრიმინალურ ქრონიკას.**

**21 ივნისს** თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომლებმა „ცხელ კვალზე“ დააკავეს ვაზისუბნის დასახლებაში მცხოვრები ჯამბულ თოდუა, რომელმაც საღამოს 20 საათზე, რამდენიმე თანამზრახველთან ერთად გურამიშვილის გამზირზე, №3 სამარშრუტო ტაქსის მგზავრს თეა თვალავაძეს გასტაცა ოქროს ყელსაბამი, საათი და ხელჩანთა.

იმავე დღეს შს სამინისტროსა და თბილისის პოლიციის სისხლის სამძებროს თანამშრომლებმა ერთობლივად, საგურამოს ქუჩაზე, დანაშაულის ჩადენის ფაქტზე გააბეს ქ. ბორჯომის მცხოვრები ვახტანგ ელიზბარაშვილი, რომელმაც ის-ის იყო 100 ლარი გამოსტაცა მოქალაქე ვაჟა გუგულავას.

21 ივნისს კიდევ ერთი მძარცველი დააკავეს ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა – ზემო პლატოს დასახლებაში მცხოვრები კახაბერ ჩხეიძე, რომელმაც ვარკეთილის დასახლების ტერიტორიაზე, იქვე მცხოვრებ ირმა აბულაშვილს გასტაცა ხელჩანთა ფულითა და პირადი ნივთებით.

იმავე დღეს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მძარცველი შეიპყრეს შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოსა და დედაქალაქის პოლიციის ანალოგიური სამსახურის თანამშრომლებმა: ნასამართლევმა გოჩა რამინიშვილმა, თავის თანამზრახველებთან ერთად, რომლის ვინაობა უკვე დადგენილია, მოქალაქე ლია ჭინჭარაულს გასტაცა ხელჩანთა 20 ლარითა და პირადი ნივთებით.

პოლიციის „მიზეზით“ ბოლო დღეებში აღარ უმართლებთ ბინის ქურდებსაც.

22 ივნისს ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა ხელი სტაცეს ნასამართლევ ედემ ბაღათურიას, რომელმაც გაქურდა ვაჟა-ფშაველას გამზირზე მცხოვრები მამუკა ვოლხიტაშვილის ბინა. ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელების შემდეგ დადგინდა, რომ ედემ ბაღათურიამ იმავე დღეს იქვე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე გაქურდა ფიქრია ბერიშვილის ბინაც.

თავი გამოიჩინეს ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმაც. 22 ივნისს მათ დააკავეს მრავალჯერ ნასამართლევი დათო ყელიგრეხაშვილი, რომელმაც გაქურდა დიდ დიღომში მცხოვრები ოთარ ფაღავას ბინა.

23 ივნისს ისანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა შეიპყრეს ვაზისუბნის დასახლებაში მცხოვრები, ორჯერ ნასამართლევი ნოდარ ჩატოიანი, რომელმაც გაქურდა იმავე დასახლებაში მცხოვრები ნიკოლოზ მელიქიშვილის ბინა.



ცნობილია, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ძალიან რთულია ჯიბის ქურდების დანაშაულის ფაქტზე დაკავება. 21-23 ივნისს ეს სიძნელეები წარმატებით დაძლიეს შსს და თბილისის პოლიციის თანამშრომლებმა. 21 ივნისს მათ მეტროს სადგურ „წერეთლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს თბილისელი ორჯერ ნასამართლევი გიორგი მალახოვი, რომელმაც მოქალაქე ვასილ აღნიაშვილს მოპარა 100 ლარი.

იმავე დღეს წერეთლის გამზირზე დააკავეს სამჯერ ნასამართლევი მამუკა ექიზაშვილი. მან მოქალაქე დავით შაფათავას 36 ლარი მოპარა. სამართალდამცველებმა იმავე ტერიტორიაზე გააბეს ქუთაისელი ჯიბის ქურდი, ადრე ნასამართლევი დავით მახათაძე, რომელმაც მზია ალოევას 60 ლარი ამოაცალა.

როგორც ჩანს, პოლიცია უკვე სერიოზულად შეუდგა დედაქალაქში ბინისა და ჯიბის ქურდების პარპაშის აღკვეთას. ბატონმა გია გეწაძემ 24 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მსგავსი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ინტენსიურად გაგრძელდება.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

ქართული შოუ-ბიზნესი

# „ქუჩის ბიჭები“ დასასვენებლად მონასტერში მიდიან

**თანამედროვე შოუ-ბიზნესში ჯგუფ „ქუჩის ბიჭებს“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს... უამრავი სიმღერა, კლიპი, კონცერტი თუ პროექტი წლების მანძილზე მათ სერიოზულ პოპულარობას განაპირობებდა. მათ დღემდე ჰყავთ ათასობით გულშემატკივარი, რომლებიც მოთმინებით ელიან „ქუჩის ბიჭების“ უწინდელ აქტიურ გამოჩენას. რაც შეეხება მათი პასიურობის მიზეზს, ეს პრობლემათა ის ვრცელი ნუსხაა, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ... მოგეხსენებათ, ჯგუფის შემადგენლობა შეიცვალა, მას შემდეგ, რაც ირაკლი ნოზაძემ სოლო კარიერა დაიწყო, მისი ადგილი პაატა ცეცხლაძემ დაიკავა. გურამი ლომიძე, პაატა და ზურა ხაჩიძეები კი ისევ „ადგილზე რჩებიან“. მათთან საუბარი, ამჯერად ბოლო ალბომის სახელწოდებიდან “SOS!“ დავიწყეთ...**

– (**ზურა**) ჩვენი ბოლო ალბომის სახელია “SOS!“ ანუ გამოვდივართ ძალადობის წინააღმდეგ, ვებრძვით აგრესიას. ჩვენ გვინდა მშვიდობა! სამწუხაროდ, ბოლო დროს ისე განვითარდა მოვლენები, რომ არაერთხელ გავხდით ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზეწოლის ობიექტები(!).

– (**პაატა**) როგორც იცით, ჯგუფიდან წავიდა ირაკლი ნოზაძე, გურამი ცოლს დაშორდა, შემდეგ მანქანა მოპარეს. ზურას სახლი გაუტეხეს და წაიღეს აპარატურა, რითაც საკუთარი სტუდიის გახსნას ვაპირებდით. ალბათ, ყოველივე ეს უკვალოდ ვერ ჩაივლიდა, ჩვენი პასიურობაც შეიძლება ამ პრობლემებს დავაბრალოთ.

– (**გურამი**) ამ ყველაფრის მიუხედავად არ გვინდა მომავლის იმედი დავკარგოთ. ჩვენი არსებობის ათი წლის განმავლობაში ბევრი სირთულე დაგვიძლევია და ეს პრობლემებიც მოგვარდება. მთავარია, ერთად ვიყოთ და ერთმანეთის ფასი ვიცოდეთ...

***– როგორც აღნიშნეთ, ახლაც მუშაობთ ახალ რეპერტუარზე, როდის შესთავაზებთ მსმენელს ახალ სიმღერებს?***

– (**პაატა**) რამდენიმე სიმღერა უკვე ჩაწერილია. გაჩერებულები არასდროს ვყოფილვართ, უბრალოდ, ხალხს არ უნახავს, ჯერჯერობით, ჩვენი მუშაობის შედეგი, რასაც უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ.

– (**გურამი**) ერთ-ერთ სიმღერას, რომელიც ავთო ბადუაშვილმა დაგვიწერა, ტექსტი კი ჩვენ შევქმენით, ამ დღეებში მივაწვდით რადიო „ფორტუნას“. ძალიან გვინდა ამ კომპოზიციაზე გადავიღოთ კლიპიც. თუმცა ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

– (**ზურა**) ასე რომ, ვმუშაობთ ჯერ ახალი ალბომისთვის და, მოგვიანებით, სოლო კონცერტისთვის.

***– ანუ თქვენს სამომავლო გეგმებში ეს ორი საკითხი შედის?***

– (**ზურა**) ახალი ალბომის გამოშვებასა და სოლო კონცერტის მომზადებას სერიოზული შრომა სჭირდება. ჯერ მარტო იმისთვის, რომ ახალი რეპერტუარი შედგეს, დიდი დროა საჭირო, მერე ყოველივე ეს დიდ თანხებს უკავშირდება. ასე რომ, ეს სამომავლო კი არა, უფრო შორეული გეგმებია... (იცინის).

– (**პაატა**) ამის გარდა, ეგვიპტეში გამგზავრებას ვგეგმავთ, წასვლას დიდი ხნით ადრე ვაპირებდით, მაგრამ ხელი შეგვიშალეს! როცა გურამს მანქანა მოპარეს, ჩვენი საბუთები იქ იყო, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ ქართული კულტურის დღეებმა ეგვიპტეში, ჩვენს გარეშე ჩაიარა... ახლა ისევ გრძელდება მოლაპარაკება ამ საკითხთან დაკავშირებით.

***– ამჯერად რას დაუკავშირებთ თქვენს გამგზავრებას? უშუალოდ ვისთან აწარმოებთ მოლაპარაკებას. და კიდევ, ვისთან ერთად გაემგზავრებით და რამდენი ხნით?***

– (**ზურა**) ალბათ, ეგვიპტეში მარტო „ქუჩის ბიჭები“ წავალთ, შეიძლება ნინი ქარსელაძემაც გაგვიწიოს მეგზურობა.

– (**გურამი**) როგორც ვიცით, ეს იქნება მეგობრული ვიზიტი, რომელიც ერთ კვირას გასტანს.

– (**პაატა**) მოლაპარაკებას უშუალოდ ვაწარმოებთ კაიროში საქართველოს ელჩთან ბატონ აპოლონ სილაგაძესთან.

***– ისევ თქვენს ბოლო ალბომს მივუბრუნდები. მასში 13 განსხვავებული ჟანრის სიმღერაა შესული. მღერით საგალობელს, სოულს, როკს... ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ მრავალფეროვანი რეპერტუარი გაქვთ თუ იმას, რომ ვერ იპოვეთ თქვენი სტილი და ძიების პროცესში ხართ?***

– (**ზურა**) არა, ყოველთვის ვცდილობთ რაღაც ახალი შევთავაზოთ მსმენელს და იგივე არ გავიმეოროთ.

– (**გურამი**) ეს უფრო მრავალფეროვნებაა, ვიდრე სტილის უქონლობა (იცინის).

***– ამ ალბომში ერთი ინგლისურენოვანი სიმღერაცაა შესული „ბოიზთუმენის“ რეპერტუარიდან, კიდევ ხომ არ აპირებთ უცხოენოვანი სიმღერის ჩაწერას?***

– (**პაატა**) ჯერჯერობით, არა, შეიძლება მოგვიანებით რუსულენოვანი სიმღერა ჩავწეროთ.

***– საკუთარ თავზე თუ მუშაობთ, თუ ცდილობთ პროფესიული თვალსაზრისით, კიდევ უფრო გაიზარდოთ, დაიხვეწოთ?***

– (**ზურა**) ჯგუფი არსებობის მანძილზე ყოველდღიურად იზრდება და იხვეწება. თუკი მოუსმენთ ჩვენს პირველ და ბოლო ალბომს, მიხვდებით, რომ ევოლუცია განვიცადეთ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ხშირად მოგვიწია ისეთ პროფესიონალებთან მუშაობა, რომ საკუთარ თავზე რომ არ გვეზრუნა, ალბათ, ვერც შევძლებდით სცენაზე მათ გვერდით დგომას.

– (**გურამი**) ახლაც ასეა... ძიების პროცესი არასდროს მთავრდება.

– (**პაატა**) გარდა ამისა, ყოველ საღამოს რეპეტიციები გვაქვს.

***– ხმის მოვლას რაც შეეხება, თუ უფრთხილდებით ყელს და როგორ?***

– (**ზურა**) ალბათ, ისე, როგორც ყველა...

– (**გურამი**) შეიძლება ითქვას, რომ ვერც ვუფრთხილდებით...

– (**პაატა**) მე ვცდილობ მოვერიდო კონცერტის წინ იმ პროდუქტების მიღებას, რაც ხმას აფუჭებს, თუმცა უძილობაც ცუდად მოქმედებს...

***– რამდენადაც ვიცი, ყოველ პარასკევს „ტიფლის კლუბში“ მასპინძლობას უწევთ სტუმრებს.***

– (***ზურა***) დიახ, იქ ნამდვილად კარგი გარემოა შექმნილი სიმღერისა და გართობისთვის. თუმცა, ეს არასდროს გვაკლია.

***– ხომ არ გადაიღალეთ ათწლიანი აქტიური ცხოვრებით, როგორ ფიქრობთ, დასვენება არ გინდათ?***

– (***ზურა***) როცა ადამიანს შენი საქმე გიყვარს, ის არასდროს მოგბეზრდება და მისით არ გადაიღლები.

– (**პაატა**) რაც შეეხება დასვენებას, მართლაც არ გვაწყენდა ერთი-ორი კვირით განმუხტვა და, ალბათ, განვერიდებით თბილისს.

– (**ზურა**) შეიძლება ერთი-ორი კვირით რომელიმე მონასტერშიც ვიცხოვროთ. იქ შევძლებთ ძალების აღდგენას.

**ნატალი ბრეგვაძე.**





გამოფენა

# საბალეტო ხელოვნება — მხატვრის საყვარელი თემა



**ამ დღეებში ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი დალი ფოდიაშვილის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობდა. ფერმწერმა საზოგადოების წინაშე მრავალფეროვნებით გამორჩეული ექსპოზიცია წარმოადგინა, რომელსაც დამსწრენი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ.**

გამოფენა გახსნა მუზეუმის დირექტორმა ბატონმა ნოდარ ლომოურმა. ქალბატონი დალი უამრავი თაყვანისმცემლისა და ხელოვნებათმცოდნეების მილოცვებს იღებდა.

რაც შეეხება დალი ფოდიაშვილის შემოქმედებას, იგი ამაყობს რომ ჩინებული ფერმწერის შერპილოვის ხელმძღვანელობით მუშაობდა და ამავე დროს დღესაც არ ღალატობს ძველ გზას. ხელოვანი ქალი იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელშიც მოღვაწეობს ხატვა-ფერწერის პედაგოგად. დროთა განმავლობაში იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენებში, ამჯერად გამართული პერსონალური გამოფენა პირველია. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ეროვნულ გალერეაში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მუზეუმებში, კერძო კოლექციებში (მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, ფინეთი).

დალი ფოდიაშვილი იმ უიშვიათეს ფერმწერთაგანია, რომლის ხელწერას, სტილს ნებისმიერ გამოფენაზე ამოიცნობთ, იგი დაუფლებულია ფერთა საოცარ კომბინაციას და მათი შეხამებით ახერხებს უთუოდ დაამახსოვროს თავი დამთვალიერებელს.

დიდი ხანია, რაც შემოქმედის შთაგონების წყაროა საბალეტო ხელოვნება — ეს სწორედ ის თემატიკაა, რომელიც მის ესთეტიკურ შეხედულებას გამოხატავს და ერთგვარი გაგრძელებაც შერპილოვის სანუკვარი ჩანაფიქრისა. ამ მხრივ გამოფენაზე საყურადღებოა ისეთი სერია, როგორიცაა: „ორი ბალერინა მხატვრის სახელოსნოში“, „სამი ბალერინა კულისებში“, „ყაყაჩოები“ (მუყაოსა და ზეთში შესრულებული), „მწვანე ბალერინა“ (ტილო ზეთში), „დებიუტი“, „ბალერინა ყვავილებით“, „რევერანსი“, „თეთრი ვარდები“, „ბალერინა“ (ქაღალდი, შერეული ტექნიკა), „ესკიზი“, „ესპანელი“ (ტილო ზეთში), მხატვარი ხშირად იხედება კულისებში და ხატავს ვარიაციებს, ახლოს ეცნობა ნატურას, ქმნის პორტრეტების სერიას.

ასეთია დალი ფოდიაშვილის შემოქმედებითი სამყარო.

**ლიკა შონია.**

**სურათზე: „მოცეკვავე“ (სერიიდან „ბალერინები“).**

მსოფლიო შტრიხებში

# საფრანგეთის „ცხელი გული ასვენია“

**ვისაც ოდესმე მარკ ტვენის ნაწარმოებები წაუკითხავს, ალბათ, გაახსენდება, თუ ჰეკლბერი ფინი როგორ უყვება ზანგ ჯიმის საფრანგეთის უფლისწულის, იქ დოფინს რომ უწოდებენ, სულისშემძვრელ ისტორიას: „ტახტზე აყვანის ნაცვლად ციხეში ჩასვესო და ამბობენ, იქვე გარდაიცვალაო... სხვები კი ამბობენ — ის ციხიდან გაიქცა და გადარჩაო. თითქოს ამერიკაში გაემგზავრაო“.**

საფრანგეთის ისტორიაში სამეფო ტახტზე უამრავი ლუდოვიკოა ცნობილი. თუმც არც ცრულუდოვიკოები იყვნენ ცოტანი. მაგალითად, რამდენიმე ათეული ყალთაბანდი ასაღებდა თავს ლუდოვიკო მეჩვიდმეტედ. თუმცა, მას შემდეგ ორი საუკუნე გავიდა, მაგრამ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, თუ ვინ იყო ცრუ და ვინ — ნამდვილი.

ლუდოვიკო XVI და მარია-ანტუანეტის ვაჟიშვილს არა და არ ეღირსა ტახტზე აბრძანება. თუმცა პატარა დოფინისათვის, მშობლების მსგავსად, თავი არ მოუკვეთიათ. ლუი-შარლ კაპეტი მარტოდმარტო აყროლებულ საკანში ჰყავდათ გამომწყვდეული და ტუბერკულოზისგან იქვე გარდაიცვალა 1795 წლის 8 ივნისს. 10 წლის ლუდოვიკო XVII საერთო სამარეში ჩაფლეს, მაგრამ გაბედული ხალხი მაშინაც ყოფილა და სასამართლო ექიმმა ფილიპ-ჟან პელეტინმა მაინც მოახერხა მისი გვამიდან გულის ამოცლა. თურმე მაშინ ასეთი ტრადიცია ყოფილა — მეფის გულის შენახვა სხეულიდან განცალკევებით. ექიმს გული მინის ჭურჭელში დაუსპირტავს. „ქურდის ქურდი არ დაილევაო“ და ექიმისთვის ეს ჭურჭელი ერთ მის მოსწავლეს მოუპარავს. აქედან დაწყებულა მცირეწლოვანი უფლისწულის გულის „ხეტიალი“ — მან მრავალჯერ შეიცვალა პატრონი და მხოლოდ 1975 წელს, უკვე ბროლის ჭურჭლით, დაბრუნდა სამშობლოში.

უნდა ითქვას, რომ თავის დროზე დოფინის სიკვდილი ბევრმა არ დაიჯერა, ჰეკლბერი ფინისა არ იყოს, იმასაც ამბობდნენ, რომ ის სასწაულებრივ გადარჩა და იმალებაო.

მას შემდეგ საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტი უამრავი ცრულუდოვიკო გამოჩნდა. მათ შორის იყო გერმანელი მესაათე კარლ ვილჰემ ნაუნდორფი. თვით უდიდეს ამერიკელ ორნიტოლოგს ჯონ ჯეიმს ოდიუბონსაც მიიჩნევდნენ „დაკარგულ უფლისწულად“, თუმცა მას თავად ეს არ უმტკიცებია.

ბოლოს და ბოლოს მეცნიერებამ დაუსვა წერტილი ამ ლეგენდადქცეულ ამბავს. ტახტის მემკვიდრის გულისა და დედოფალ მარია-ანტუანეტას თმების ДНК შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ გული ნამდვილად ეკუთვნის ლუდოვიკო XVII.

ფრანგები წარსულის ნამდვილად დიდი პატივისმცემლები არიან და 8 ივნისს დოფინის გული დიდის პატივით დაკრძალეს სენ-დენის სამეფო აკლდამაში, ტანჯული და სიკვდილმისჯილი მშობლების გვერდით. იქამდე კი გული ლუვრის მახლობლად სენ-ჟერმენ-ლ’ ოკსერუას ტაძარში გადაასვენეს, რათა ყველა მსურველს პატივი მიეგო მისი მფლობელის ხსოვნისათვის.

ორი საუკუნით დაგვიანებულ სამგლოვიარო ცერემონიაში ევროპის ბევრი სამეფო სახლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ყოველივე ეს კი უზარმაზარ ტელეეკრანებზე გადაიცემოდა.



**ამ ბროლის ჭურჭელში ინახებოდა „პატარა უფლისწულის“ გული.**

◎ მოზაიკა

## ხელისუფლებისათვის ნარკომანების ჩაბარება ინტერნეტითაც შეიძლება



**როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერდა, ამიერიდან ნებისმიერ მსურველს ექნება შესაძლებლობა ინტერნეტის მეშვეობით შეატყობინოს სამართალდამცავებს ნარკოტიკების წარმოებასთან და გაყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დანაშაულის შესახებ. რუსეთის ფედერაციის ნარკოლოგიის სამმართველომ მოსკოვში შეიმუშავა საამისოდ სპეციალური ფორმა თავის საიტზე, რომელსაც ნარკოპოლიციელებმა „ცხელი ხაზი“ უწოდეს.**

სამმართველოში განაცხადეს, რომ ვებ-ინტერფეისი ჩაფიქრებულია როგორც ონლაინის მეშვეობით მოსკოველებთან ნარკოკონტროლის თანამშრომლების ურთიერთობის ვარიანტი. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ყველა ადამიანი როდი ბედავს შეატყობინოს ნარკოკონტროლს ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ბოროტმოქმედების შესახებ მთელი დღე-ღამის განმავლობაში მომუშავე „ნდობის ტელეფონით“. თუმცა, მიმდინარე წლის დამდეგიდან სწორედ ამ არხით მიღებული ინფორმაციის წყალობით მოხერხდა 20 დანაშაულის გახსნა, ლიკვიდირებულია ნარკომანების 4 ბუნაგი და ნარკოტიკების გამსაღებელი რამდენიმე ათეული წერტი. ინტერნეტ-საიტზე შეტყობინება შესაძლოა, იყოს ანონიმური, ამიტომ, მოქალაქეები ნარკოპოლიციასთან ერთად ურთიერთობის ამ ფორმას უფრო ამჯობინებენ. გარდა ამისა, ინტერნეტით ნებისმიერ მსურველს ექნება შესაძლებლობა დაუსვას კითხვა მისთვის საინტერესო პრობლემების შესახებ მოსკოვის მთავარ ნარკოპოლიციელს. პირველი პასუხები გამოქვეყნდება 25 ივნისის შემდეგ. ასეთი პრაქტიკის დანერგვის შემდეგ, კითხვა-პასუხების ფურცელი რეგულარულად განახლდება.

## იქნებ მეზობელი დაეხმარათ?

**იტალიაში გასაყიდად გამოიტანეს სპეციალური მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც სწრაფად შეიძლება დავადგინოთ, თუ ვინ არის ბავშვის მამა. გამყიდველები ამტკიცებენ, რომ 99,9 პროცენტით გარანტირებულია სწორი შედეგი. ამ აპარატის ფასი 700 ევროა.**



„მამის შენარჩევი“ შედგება ორი ტამპონის, პაკეტისა და პატარა ჩანთისგან. ტამპონები გამოიყენება ბავშვისა და მისი სავარაუდო მამის ნერწყვის შესაგროვებლად. იგი უნდა მოათავსოთ პაკეტში და კონტეინერით გაგზავნოთ მწარმოებელ-ფირმაში, რომელიც თავის მხრივ, ანალიზს გაგზავნის ლონდონის სპეციალურ ლაბორატორიაში. ერთი კვირის შემდეგ ფირმა „ელექტრონული ფოსტით“ შეატყობინებს დაეჭვებულ მამაკაცს, აქვს თუ არა მას რაიმე კავშირი ჩვილის დაბადებასთან.

## აბა, ჩინელები რა მოსატანია?!

**დღეს, ალბათ, ძნელია ვინმე გააკვირვო ჩინური „Boss“-ით, ან „Versacci“-ით. უკვე არავის უკვირს ეგრეთ წოდებული „ტაივანური ჩამოსხმის“ აუდიო და ვიდეოპროდუქცია, შვეიცარიული საათები, აგრეთვე დაღესტანში გამოშვებული „ფრანგული“ კონიაკი.**

მაგრამ ფხიანი ამერიკელების ჯგუფმა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ დააკავა პოლიციამ, კიდევ უფრო ღრმად შეტოპა: ისინი ამზადებდნენ „ფერარის“ მარკის... ყალბ ავტომობილებს. თანაც, თაღლითები დაოსტატებული იყვნენ 355-ე მოდელის ყველაზე პოპულარულ ღია ვერსიაზე. ავტომანქანის კორპუსის უმეტესი ნაწილის ასაწყობად იყენებდნენ ყალბ დეტალებს, მაგრამ, თუ რომელიმე აგრეგატის იაფად შოვნა გაუძნელდებოდათ, დამნაშავეები მათ უშუალოდ „ფერარის“ ქარხანაში იძენდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების საგამოძიებო ორგანოებმა ჯერჯერობით ვერ დაადგინეს, თუ რამდენი ყალბი მანქანა გაიყიდა, მაგრამ წარმოების მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, საქმე ეხება რამდენიმე ათეულ ავტომობილს – არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნამდვილი „ფერარი“ წელიწადში 4 ათას მანქანაზე მეტს არ უშვებს.



## ორშაბათი
**28 ივნისი**

